

---

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში  
2009 წლის 20 მაისს გამართული  
საჯარო დისკუსია თემაზე:

---

**„ჰომოფობია: კერძო სივრციდან საჯარო  
სივრცემდე“**

---

ძირითადი მომხსენებლები:  
**ეკა აღდგომელაშვილი** – ქალთა  
ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

**პაატა საბელაშვილი** – ფონდი  
„ინკლუზივი“

**ნოდარ სარჯველაძე** – ფსიქოლოგი,  
ქრისტიან-დემოკრატიული  
ინსტიტუტის ხელმძღვანელი

---

**მოდერატორი: ნინო დანელია**

---

**ნინო ლეჟავა, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო დირექტორის მოადგილე**, – მოგესალმებით. დიდი მადლობა ყველას მობრძანებისათვის. თემა, რომლის განსახილველადაც დღეს ჩვენთან მოგიწვიეთ, არის „ჰომოფობია: კერძო სივრციდან საჯარო სივრცემდე“. მოხარული ვარ, რომ ასე მრავალრიცხოვანი მსმენელი მოვიდა დღეს ჩვენთან.

მოგესწინებათ, ჰომოფობიის თემა საკმაოდ ტაბუირებული თემაა. ჩვენ პირველად 2005 წელს მოვახერხეთ ამ ტაბუს ცოტათი მაინც გარღვევა, როდესაც ამ თემაზე ფონდში პირველი დისკუსია ჩავატარეთ. მაშინდელი დისკუსიის თემა იყო “სექსუალური უმცირესობები: ტაბუ საქართველოში?” ამ დისკუსიაშიც და ჰომოფობიის შესახებ 2007 წელს გამართულ მეორე დისკუსიაშიც ერთ-ერთი მომხსენებელი გახლდათ ეკა აღდგომელაშვილი, რომელიც დღევანდელი დისკუსიისთვისაც მოვიწვიეთ. პირველი დისკუსიისთვის ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა თანამომხსენებლების მოპოვება. მახსოვს, როგორ დავდიოდით და ვხუმრობდით, რომ ვეძებდით ჰეტეროსექსუალ მამაკაცს, რომელიც ისაუბრებდა ჰომოსექსუალურ თემებზე. ეს გამბედავი ადამიანი მაშინ აღმოჩნდა ლევან თარხნიშვილი, სოციოლოგი.

მეორე დისკუსია ამ თემაზე შედგა ორი წლის წინ, 16 მაისს. ამ დღის შესახებ, ალბათ, მომხსენებლები თავადაც ისაუბრებენ. ეს დისკუსია სათაურით “ჰომოფობია, როგორც სოციალური პრობლემა” შევიდა კრებულში “ჩარევა სასურველია: საჯარო დებატები ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში”.

საჯარო დისკუსიები ჩვენთან 2004 წლიდან იმართება. მათ სამუშაო სათაურად აქვს „დისკუსიები საქართველოს მოდერნიზაციის შესახებ“. სხვა დისკუსიებს შორის, თუ არ ჩავთვლით კონფლიქტების თემაზე და რელიგიისა და ნაციონალიზმის შესახებ გამართულ დისკუსიებს, ჰომოფობიის თემაზე გამართულ დისკუსიებს ყოველთვის მწვავე გამოხმაურება მოჰყვებოდა. როდესაც სიმწვავეზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ და იმედი მაქვს, რომ ეს დისკუსია ასევე შინაარსიანი იქნება. მინდა ყველას შეგახსენოთ, რომ ეს დისკუსიები გარკვეული თემების არა მარტო შინაარსობრივ განხილვას გულისხმობს, არამედ გვსურს, ამ ტიპის დისკუსიებით დავამკვიდროთ საქართველოში დისკუსიის კულტურა, რაც გარკვეული წესების დაცვას გულისხმობს. ეს არის მოდერნიზებული დისკუსია, ასე რომ მოდერატორს – ქ-ნ ნინო დანელიას აქვს იმის პრეროგატივა, რომ განსაზღვროს, თუ ვინ რამდენ ხანს ისაუბრებს. მომხსენებლებს, რა თქმა უნდა, ენიჭებათ უფრო ხანგრძლივად საუბრის უფლება. ყველას გთხოვთ, გამოთქვათ საკუთარი აზრი, თუმცა გაითვალისწინოთ ის, რომ აზრის გამოთქმის მსურველი ყოველთვის ძალიან ბევრია და დროში შეზღუდულები ვართ. წარმატებას გისურვებთ და ყურადღებისთვის მადლობას მოგახსენებთ.

**ნინო დანელია** – იმედი მაქვს, რომ საინტერესო დისკუსია გველოდება. ეს დისკუსია, როგორც ნინო ლეჟავამ უკვე აღნიშნა, ეძღვნება კონკრეტულ დღეს, 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს. ამ დღეს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ამოიღო ჰომოსექსუალობა ფსიქიური დაავადებების სიიდან. გაეროში მიმართვის შემდეგ ეს დღე შემდეგ გადაიტყა საერთაშორისო დღედ. ყოველივე ამაზე ჩვენი მომხსენებლები უფრო დაწვრილებით ისაუბრებენ. ჯერ ბ-ნ პაატა საბელაშვილს მოვუსმენთ, რომელიც ფონდ „ინკლუზივს“ წარმოადგენს, შემდეგ ქ-ნი ეკა აღდგომელაშვილი ისაუბრებს, რომელიც ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის დირექტორია; შემდეგ კი მოვუსმენთ ბ-ნ ნოდარ სარჯველაძეს, ფსიქოლოგს, ქრისტიან-დემოკრატიული ინსტიტუტის ხელმძღვანელს.

**პაატა საბელაშვილი** – მოგესალმებით. დიდი მადლობა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს იმისათვის, რომ ეს ფაქტობრივად, ერთადერთი ორგანიზაციაა, რომლის მიზანიც არ არის ამ თემაზე პრინციპულად მუშაობა და რომელიც გვითმობს ჩვენ ტრიბუნას.

ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე გახდა კალენდარულად იმის მიზეზი, რომ შემდგარიყო დღევანდელი შეხვედრა. ჩვენი მოწინააღმდეგეები ხშირად გვეუბნებიან - რა საჭიროა ამ თემის საჯაროდ განხილვა? მათი თქმით, ეს ჩვენი პირადი პრობლემაა, უნდა ვიყოთ ჩვენთვის სახლში. მათივე თქმით, ჩვენ არავინ გვიშლის ხელს, ავტობუსშიც თავისუფლად ავიღებთ, არც სამსახურიდან გვაგდებენ. ღიად არ უნდა დავენახოთ არავის, არ უნდა მივაწოდოთ ახალგაზრდობას ინფორმაცია ჩვენს შესახებ, – ეს საქართველოში არ შეიძლება. არ შეიძლება საუბარი ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებაზეც კი, არათუ პარტნიორების მიერ ერთობლივად შვილის აყვანაზე და ა.შ. არ შეიძლება ვიმსახუროთ ისეთ სტრუქტურებში, რომლებზეც დამოკიდებულია ქვეყნის უსაფრთხოება, საზღვრის დაცვა და ა.შ. დისკუსიის განვითარებასთან ერთად, ქრონოლოგიურადაც ასე ხდება ხოლმე, არის არგუმენტირების ასეთი არტიკულირება, იწყება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობიდან და ბოლოს მთავრდება ამ პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევით უკვე საჯარო სივრცეში. ფაქტობრივად, სახელმწიფო, საზოგადოება და ეკლესია “გვიწვება ლოგინში”, და შემდეგ, როდესაც მოვაკითხავთ ჩვენს უფლებას საჯარო სივრცეში, მკაცრად გვეწინააღმდეგება ამაში.

1990 წლის 17 მაისს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა ამოიღო ფსიქიური დაავადებების სიიდან. ეს დღე უკვე ხუთი წელია აღინიშნება, როგორც ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. წელს ამ ფორმულირებას დაემატა ტრანსფობიაც, ვინაიდან ხშირად, ლესბოსელი, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ ადამიანებს ერთ ჯგუფად მოიხსენიებენ, საზოგადოება კი არაა ინფორმირებული, რომ ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანები სხვა ადამიანებისგან ორიენტაციის მხრივ არიან განსხვავებულები, ტრანსგენდერები კი, გენდერული იდენტობის მხრივ. ამიტომ, წელს უკვე ოფიციალურად, ეს დღე ფორმულირდება, როგორც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე.

მინდა შევეხო საქართველოს სახელმწიფოს პოზიციას ამ თემასთან დაკავშირებით. დეკლარირების დონეზე საქართველოს სახელმწიფო ცდილობს – ამ ბოლო პერიოდში მაინც, – რომ აშკარა ჰომოფობიურობა ღიად არ დაადასტუროს, მეტიც, ჩვენი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამოდინარე, კარგი იმიჯი შეინარჩუნოს დასავლეთ ევროპულ და ჩრდილოეთ ამერიკულ ორგანიზაციებთან, სტრუქტურებთან და ფონდებთან. თუმცა, ეს ყველაფერი ხშირად მხოლოდ დეკლარირების დონეზე ხდება და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სახელმწიფო რაიმე ქმედით ნაბიჯებს დგამს ქვეყანაში ჰომოფობიის აღმოსაფხვრელად.

გაგაცნობთ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქართველომ მოაწერა ხელი. ამან შესაძლოა, გაგაკვიროთ კიდევ, იმიტომ რომ ქვეყანაში ამის მსგავსი არაფერი შეინიშნება. დავიწყებ სულ ახალი დოკუმენტით, რომელიც 16 მაისს, სულ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა ბრიუსელში. ეს არის ჩეხეთის პრეზიდენტობით, ევროკავშირის სახელით გაკეთებული განცხადება, რომელიც გმობს ჰომოფობიის ნებისმიერ გამოვლინებას. ამ დეკლარაციის ხელმოსაწერად მიიწვიეს არა მარტო ევროკავშირის ქვეყნები, არამედ ის ქვეყნებიც, რომლებთანაც რაიმე სახის თანამშრომლობა სამომავლოდ მოიაზრება. ჩვენდა სასიხარულოდ, იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს, ამ დეკლარაციას მიერთებოდნენ, იყო საქართველოც.

ცოტა ხნით ადრე, გასული წლის 18 დეკემბერს, ნიუ-იორკში გენერალური ასამბლეის მთავარი თემა იყო ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის 60 წლისთავი. ევროკავშირმა მაშინაც, საფრანგეთის თავმჯდომარეობით გააკეთა ამავე შინაარსის განცხადება, ოღონდ გაეროს დონეზე ეს უფრო რბილად ხდება ხოლმე (ვინაიდან, გაეროს 80-ზე მეტი ქვეყანა ჯერ კიდევ ახდენს ჰომოსექსუალური ურთიერთობის კრიმინალიზაციას.

განვმარტავ, ეს არის ზრდასრულ ადამიანებს შორის ურთიერთთანხმობით შემდგარი სექსუალური აქტები) და გაკეთდა მოწოდება მსოფლიოში ჰომოსექსუალობის უნივერსალური დეკრიმინალიზაციისაკენ. საქართველომ ამ განცხადებასაც მოაწერა ხელი. მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთს და აშშ-ს მისთვის ხელი არ მოუწერიათ. ბუმის ადმინისტრაცია ცნობილი იყო თავისი ჰომოფობიურობით. აშშ ამ დეკლარაციას მხოლოდ თებერვალში, ობამას ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ შეუერთდა.

საქართველოში ჰომოსექსუალობის დეკრიმინალიზაცია მოხდა 2000 წლის 1 ივნისს. მანამდე ორ ზრდასრულ მამაკაცს შორის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად.

გარდა სახელმწიფო პოზიციისა, აღსანიშნავია საზოგადოების დამოკიდებულებაც ამ საკითხის მიმართ. ამას ძალიან ბევრი წინაპირობა აქვს: პატრიარქალური წყობა, გენდერული შოვინიზმი, ტრადიციული იდეოლოგიების გავლენა და ა.შ. ჰომოფობია ძალიან ღრმად არის გამჯდარი ქართულ საზოგადოებაში. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებიც, ისევე როგორც სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ზოგადი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები. ჰომოსექსუალები ყოველთვის ლიდერობენ იმ ჯგუფებს შორის, რომლის ნახვაც საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს მის გვერდით არ სურს. ამას ემატება სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ჯგუფების მხრიდან გამწვავებული და პოლიტიზირებული ჰომოსექსუალობის თემა. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, მას შემდეგ რაც ჩვენ დავიწყეთ ღიად და დაუფარავად მოღვაწეობა, ახდენს ჰომოსექსუალობის ინკრიმინაციას პატრიარქის მიერ გამოქვეყნებულ საშობაო და სააღდგომო ეპისტოლეებში. გარდა ამისა, სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებიც ხშირად ცდილობენ ამ თემის გამოყენებას პოლიტიკური დაპირისპირების დროს, საკუთარი ოპონენტის დისკრედიტაციისთვის. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი არსებობს.

**ნინო დანელია** – კიდევ ერთხელ შევეცდები, განვმარტო, რა არის ჰომოფობია. იგი აიხსენება, როგორც ირაციონალური შიში და სიძულვილი ლეზბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ, რომელიც ეფუძნება წინასწარგანწყობას და ემსგავსება რასიზმს, ქსენოფობიას და სექსიზმის.

**პაატა საბელაშვილი** – იმისათვის, რომ ჩვენი სახელმწიფო დეკლარირებულ ფასეულობებთან შესაბამისობაში მოვიდეს, ქვეყანაში ჰომოფობიის დაძლევისთვის, უნდა იდგმებოდეს გარკვეული ნაბიჯები. ამას ხელს უშლის ძალიან ბევრი ფაქტორი, თუნდაც საკანონმდებლო დონეზე. საქართველოს არა აქვს ინტეგრირებული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა. მხოლოდ რამდენიმე დოკუმენტშია ნახსენები ჰომოსექსუალობა, როგორც ის სტატუსი, რომლის მიხედვითაც არ შეიძლება ადამიანის დისკრიმინაცია. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ისეთ მნიშვნელოვან კონცეფციას, რომელსაც ჰქვია „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული“, ან „სიძულვილის ენა“. გარდა ამისა, სხვადასხვა პოლიტიკის ფორმირებისას საქართველოს მთავრობა შეგნებულად ახდენს გამორიცხვას, გამოტოვებას სექსუალური ორიენტაციის მხრივ საკუთარი თანამოქალაქეებისა, მაგალიტად განათლების ეროვნულ კონცეფციაში და ა.შ., კიდევ ბევრ სხვა დონის დონეებში, რომელიც სამოქალაქო ინტეგრაციას ეხება. მაშინ, როდესაც იგი შედარებით წარმატებებს აღწევს სხვა სოციალური ჯგუფების ინკლუზიაში.

ჩვენ უნდა შევეხოთ ჰომოფობიის ერთი-ორ აშკარა გამოვლინებას, რომ უფრო ნათელი იყოს, დღეს რაზე ვსაუბრობთ. 2007 წლის ივლისში გაზეთ „ალიაში“ დაიბეჭდა ირაკლი მამალაძის სტატია, რომელიც ეხებოდა ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ კამპანიას „ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი“. ჟურნალისტმა წარმოადგინა დამახინჯებული ინფორმაცია და აღნიშნა, რომ სინამდვილეში ეს კამპანია შენიღბული თბილისის გეი-პრაიდი იყო, ისე, რომ მას არავისთვის უკითხავს ამის შესახებ. ამას მედიაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. რამდენიმე პოლიტიკოსი იქამდეც მივიდა, რომ ჰომოსექსუალი ადამიანებისთვის



საარჩევნო უფლების ჩამორთმევას მოითხოვდა. ეს ჩვენ იმაში დაგვეხმარა, რომ ევროსაბჭო დაგვერწმუნებინა, რომ ჰომოფობია აღენიშნა საქართველოს შესახებ მოხსენებაში როგორც პრობლემა.

სულ ცოტა ხნის წინ ჟურნალში „ცხელი შოკოლადი“, გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „არშემდგარი დისკუსია“, რომელშიც მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ასევე გენერალური პროდიუსერი და სხვა თანამშრომლები საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ამ მოხსენებისას გენერალურმა პროდიუსერმა, ბ-ნმა გიორგი ჭანტურია მკომოსექსუალები მოიხსენია არამართებული ლექსიკით, რომელიც პირდაპირ არის აღნიშნული საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში, როგორც დაუშვებელი. მინდა შეგახსენოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსი არის ნორმატიული აქტი. შესაბამისი სტრუქტურებიდან რეაგირება ამ ფაქტს არ მოჰყოლია. ჩვენ დავწერეთ საპროტესტო წერილი, მაგრამ პასუხის ღირსიც არ გავხდით. რადგან ეს არის სამართალდარღვევა, ამიტომ ჩავრთე ეს საქმე ჩემს მოხსენებაში. არათუ რეაგირება არ მოყოლია, გენერალურმა ღირექტორმა – ლევან ყუბანეიშვილმა – გაამართლა საკუთარი თანამშრომელი. შემდეგ ეს გამართლება წერილობით გაფორმდა იმ მხრივ, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაწერა საპასუხო სტატია, სადაც გაამართლა გენერალური პროდიუსერი და დაადანაშაულა „ცხელი შოკოლადი“ და ყველა ის ადამიანი, რომელსაც ბუნებრივი პროტესტი გაუჩნდა ამ ფაშისტური გამონათქვამების წინააღმდეგ. ციტატას წავიკითხავთ: „ნახევარმილიონიან ლტოლვილიან ქვეყანაში საგულშემატკივრო მეტი აღარავინ აღარ დავგერჩა?“

ჩვენ გვაქვს კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლების მიმართ, რომლებზეც ცოტა მოგვიანებით, დისკუსიის განხილვის შემდეგ ვისაუბრებ. ბოლოს დავძენ, რომ ხშირად გვეუბნებიან, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელია დღეს მთავარი პრობლემა, ვინაიდან ეკლესიას აქვს თავისი ლეგიტიმური უფლება გამოხატოს თავისი აზრი ნებისმიერ მოვლენასთან დაკავშირებით. ისიც მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს მოქალაქე ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ და ტრანსგენდერ გადასახადის გადამხდელებს საქართველოს ეკლესიის შენახვა ორჯერ მეტი უჯდება, ვიდრე საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გამდიდრება.

**ნინო დანელია** – იქნებ განგვიმარტოთ ბოლო წინადადება?

**პაატა საბელაშვილი** – 12-მილიონნახევარი ლარი არის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი, რომელსაც იგი იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რომელიც ყველა ჩვენგანის მიერ გადახდილი გადასახადებით ივსება. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს პირდაპირი დაფინანსება 25 მილიონი ლარის ოდენობით დღევანდელი ბიუჯეტიდან. საზოგადოებრივ მაუწყებელთან შედარებით ორჯერ მეტი გვიჯდება მთელ მოსახლეობას და მათ შორის ჩვენც.

**ნინო დანელია** – ახლა სიტყვას ეკა აღდგომელაშვილს გადავცემ. პაატამ ძირითადად ისაუბრა იმაზე, თუ სად ხდება საჯარო სივრცეში ჰომოსექსუალების დისკრიმინაცია და კანონმდებლობა რამდენად უწყობს ამას ხელს.

რამდენადაც ვიცი, თქვენ გაქვთ მედიის ანალიზი, რომელიც ამ თემას შეეხება. სწორედ მედიაში ჩნდება ხოლმე ტენდენციები, რომლებიც შემდეგ მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. ყველამ ვიცით, რომ მედია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოებრივ აზრს.

**ეკა აღდგომელაშვილი** – სექსუალობის და კონკრეტულად, სექსუალური ორიენტაციის რეპრეზენტირების კვლევა მედია საშუალებებში გარკვეულ სიძნელებთან არის დაკავშირებული, რადგან განსხვავებით რასის, სქესის, ასაკისა და ა.შ. საქმე გვაქვს კულტურული იდენტობის ისეთ ფორმასთან, რომელიც ნაკლებად ხილვადია. თუ თვალს

გადავავლებთ ჩვენს წარსულს, ვნახავთ, რომ საბჭოთა კავშირის დროს, ტოტალიტარიზმის პირობებში, არათუ აკრძალული იყო ჰომოსექსუალობაზე ღიად და საჯაროდ საუბარი მედიაში, არამედ, ჰომოფობია პოლიტიკური იდეოლოგიის რანგშიც იყო აყვანილი. მოგეხსენებათ, კრიმინალიზებული და დასჯადი იყო მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალური კავშირები. საბჭოთა პერიოდს თუ გავიხსენებთ, კულტურის მიერ დაშვებული ნორმატიული სექსუალობაც კი ტაბუირებული იყო იმ პერიოდში.

ეს თემა საჯარო სივრცეში დახლოებით 90-იანი წლების შემდეგ მოხვდა. კვლევა, შესაბამისად, ამ პერიოდიდან შეგვიძლია დავიწყოთ. ნინო ლეჟავამ თქვა, რომ მე მესამედ მიწვევს ბიოლის ფონდში ამ თემისადმი მიძღვნილ დისკუსიაში მონაწილეობა. პირველი დისკუსია ეხებოდა 90-იანი წლებიდან 2003 წლამდე, „ვარდების რევოლუციამდე“ პერიოდს, თუ როგორ ხდებოდა ამ პერიოდში ჰომოსექსუალობის რეპრეზენტირება.

2006 წელს, უკვე ფონდ „ინკლუზივის“ დაკვეთით ჩატარდა ასეთი კვლევა, რამაც საშუალება მოგვცა, დაგვენახა ტენდენციები და ცვლილებები. დღეს სწორედ ამ ცვლილებებზე მინდა გესაუბროთ; მინდა წარმოგიდგინოთ 2007-2008 წლების მედიის ანალიზი. იმ ძირითად ტენდენციებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც დღეისთვის იკვეთება. 2006 წლის შემდეგ ჩვენ უკვე მედიის სისტემურ ანალიზს ვაწარმოებთ, რაც საშუალებას გვაძლევს, გავაკეთოთ როგორც ხარისხობრივი, ისე თვისობრივი ანალიზი.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, მთლიან დინამიკას თუ შევხედავთ, როგორც წესი, ჰომოსექსუალობის თემა, უკავშირდებოდა პოლიტიკაში ძალაუფლების გადანაწილების პროცესებს. თემა მედიისათვის აქტუალური ხდებოდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც გარკვეული ძალები იწყებდნენ ხელისუფლებაში მოსვლას. არ ვიცი, რამდენად გახსოვთ, მაგრამ არჩევნების პერიოდში, 1999-2003 წლებში ძალიან აქტუალური იყო მითი „ცისფერთა შეთქმულების“ შესახებ, რომლებიც ხელისუფლებაში აპირებდნენ მოსვლას. მაშინდელი პრესა საშინლად ჰომოფობიური იყო - გაჯერებული ჰომოფობიური გამონათქვამებით როგორც ხელისუფლების, ისე მაშინდელი ოპოზიციის მხრიდან. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ეს პანიკა ჩაცხრა. ის საარჩევნო პროცესის დაწყებასთან ერთად კვლავ აგორდა. არჩევნებს შორის პერიოდში, შეიძლება ითქვას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესის ფურცლებიდან თემამ ნელ-ნელა „ყვითელი პრესის“ ფურცლებზე გადაინაცვლა. ამასაც თავისი ახსნა აქვს. როგორც მოგეხსენებათ, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დროს ნებისმიერ ქვეყანაში ძლიერდება ხოლმე ქსენოფობიური ტენდენციები. ჩვენთან კი 90-იანი წლების შემდეგ მუდმივად არის ეს კრიზისი, იგი უბრალოდ, მძაფრდება ხოლმე არჩევნების მოახლოებასთან ერთად.

რაც შეეხება წინა წლების კვლევის შედეგებს, რამდენიმე პუნქტს გამოვყოფ, რათა შევძლოთ ახალ ტენდენციებზე საუბარი. 2005-06 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგები შეგიძლიათ იხილოთ ფონდ „ინკლუზივის“ ვებ-გვერდზეც ([www.inclusive-foundation.org](http://www.inclusive-foundation.org)).

ვნახოთ, როგორ კონსტრუირდებოდა ჰომოსექსუალობა ქართულენოვან მედიაში:

1. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრესისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა ჰომოსექსუალობას, არამედ „არატრადიციული“ სექსუალობის საზოგადოებრივ პრობლემად ქცევის პროცესს. შესაბამისად, ისინი მეტ ადგილს უთმობდნენ ზოგადი ხასიათის საუბრებს ჰომოსექსუალობაზე მოწვეული ექსპერტების საშუალებით. მიმართავდნენ დისკუსიის მონოპოლიზების პრაქტიკას და ნაკლებად აძლევდნენ შანსს ლგბტ ადამიანებს თავად მოეხდინათ საკუთარი თავის რეპრეზენტირება.

2. ანალიტიკური ხასიათის პუბლიკაციებში არაჰეტეროსექსუალური ქცევა ძირითადად სამედიცინო ასპექტში განიხილებოდა.

3. არ ხდებოდა ჰომოფობიის, როგორც სოციალური პრობლემის იდენტიფიკაცია.

4. ლგბტ ადამიანებისათვის თვითრეპრეზენტაციის საშუალებას მხოლოდ ყვითელი პრესა იძლეოდა, მაგრამ მათი რესპოდენტების უმეტესობა ნეგატიურად იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი ტიპაჟები მხოლოდ აძლიერებდა ჰომოსექსუალის უარყოფით ხატს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც უკავშირდება ბოლო ორი წლის მედიას, ის განსაკუთრებით, რომ წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად გაიზარდა ნეგატიურ შეფასებათა პროცენტული მაჩვენებელი (65%-დან 86%-მდე). თუმცა, ნეიტრალურ შეფასებათა შემცირების ხარჯზე გაჩნდა პოზიტიური შეფასებებიც (21%).

**ნინო დანელია** – ვის მიერ კეთდება ასეთი შეფასებები, თავად ჟურნალისტების მიერ? რას გულისხმობთ ნეგატიურ შეფასებებში?

**ეკა აღდგომელაშვილი** – უარყოფითი შეფასების შემთხვევაში ჰომოფობიის ძირითადი გამოვლენის ფორმებად მივიჩნევდით:

1. ჰომოფობიური ტექსტების ციტირებას კომენტარის ან სარედაქციო შენიშვნის გარეშე, როდესაც შეუძლებელია განვასხვავოთ რესპოდენტის ტექსტი ჟურნალისტის მოსაზრებსაგან ან რედაქციის პოზიციისაგან;
2. ლგბტ ადამიანების დამამცირებელ კონტექსტში მოხსენიება (მათ შორის დეჰუმანიზაცია, დეინდივიდუალიზაცია დამამცირებელი მეტსახელებით მოხსენიება);
3. ლგბტ ადამიანებისაგან მტრის ხატის შექმნა (მაგალითად, ადამიანის დისკრედიტაციის მიზნით მითითებები მის კავშირზე ნარკომანიასთან, ქურდობასა და პროსტიტუციასთან; ადამიანების არასრულფასოვნების მტკიცება მორალური, ფსიქოლოგიური თუ სხვა თვალსაზრისით; ადამიანების დადანაშაულება საზოგადოებაზე ნეგატიური გავლენის მოხდენაში; მათი დადანაშაულება ძალაუფლების ბოროტად გამოყენების მცდელობაში, დომინირება);
4. შეფარული ან პირდაპირი მოწოდება ძალადობისა და დისკრიმინაციისაკენ (მაგალითად, ძალადობისა და დისკრიმინაციის ისტორიული მაგალითების, ჰომოფობიური პოზიციის იდეოლოგიური, მორალური თუ სხვა მიზეზით გამართლება, უშუალო მოწოდებები ძალადობისაკენ კონკრეტული პირების მითითებით ან ზოგადად, ლგბტ ჯგუფის წინააღმდეგ).

პოზიტიურ შეფასებებში, ლგბტ ადამიანთა პოზიტიური ხატის შექმნის გარდა, მოვიაზრებთ ჰომოფობიური პოზიციის, ძალადობისა და დისკრიმინაციისაკენ მოწოდებების კრიტიკასა და ჰომოფობიის სოციალურ პრობლემად შეფასების ფაქტებსაც.

პოზიტიურ შეფასებებში, ლგბტ ადამიანთა პოზიტიური ხატის შექმნის გარდა, მოვიაზრებთ ჰომოფობიური ტენდენციების კრიტიკასა და მის სოციალურ პრობლემად შეფასების ფაქტებსაც.

თუ გავითვალისწინებთ წინა კვლევის შედეგებს, ნეიტრალურ შეფასებათა 88% შეადგენდა უცხოური პრესიდან გადმობეჭდილ ინფორმაციას უცხოელ შოუ-ბიზნესისა და სპორტის სფეროში მოღვაწე ჰომო/ბი/ტრანსსექსუალების შესახებ. ამ გზით ხდებოდა დისტანცირება „განსხვავებული“ სექსუალობისაგან, როგორც „დასავლური მოვლენისაგან“. ნეიტრალური ხასიათის პუბლიკაციებში ეს ტენდენცია დღესაც შენარჩუნებულია.

პოზიტიური ხასიათის შეფასებათა მატება შესაძლოა, უკავშირდებოდეს ლგბტ ჯგუფის ხილვადობის გაზრდას, ასევე გასათვალისწინებელია ის პოლიტიკურ და სოციო-კულტურული მოვლენებიც, რომლებიც დღეს ქვეყანაში ხდება. საბჭოური მემკვიდრეობა და „ტრადიციულ“ ფასეულობებთან დაბრუნების მცდელობა მხოლოდ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის სახით არ იჩენს თავს. ფასეულობათა გადაფასება საკმაოდ მძიმედ მიმდინარეობს. შეფასებათა ამგვარი გადანაწილება ერთგვარად აირეკლავს სწორედ ამგვარი კრიზისული პერიოდისათვის დამახასიათებელ ფასეულობათა და ღირებულებათა პოლარიზაციის პროცესს.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მოხდა, მედიის ჰომოფობიის პრობლემით დაინტერესებაში გამოიხატება. ზოგადად, როგორც წესი, მედიის ყურადღების ცენტრში დისკრიმინირებული ჯგუფი ექცევა, რაც ხელს უწყობს ჯგუფის სტიგმატიზაციას, როგორც მსხვერპლისა. ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მხოლოდ დისკრიმინირებული

ჯგუფის ან კონკრეტული ადამიანის პრობლემა და არა მთელი საზოგადოებისა. საკმაოდ გვიან დაიწყო მეცნიერებმა იმის კვლევა, თუ რა გავლენას ახდენს საზოგადოების უმრავლესობაზე ჰომოფობია, რასიზმი ან სექსიზმი. ჰომოფობია გავლენას ახდენს როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის წევრებზეც, რაც შეიძლება, ქცევაშიც გამოიხატებოდეს.

ჰომოფობიის კრიტიკა დაიწყო ქსენოფობიის კონტექსტში. ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის ხაზგასმა, რომ ჰომოფობია არის ქსენოფობიის ისეთივე გამოვლინება, როგორც არის რასიზმი და სექსიზმი, რომ მათ ერთი საფუძველი აქვთ. თუმცა კი არსებობს განსხვავებაც. მაგალითად, როდესაც მედიაში შუქდება უმცირესობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ საქმე ეხება ეროვნულ უმცირესობას, ჟურნალისტი ცდილობს, რომ მეტნაკლებად დაბალანსებულად წარმოაჩინოს სიტუაცია. ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში მედია ცოტა სხვაგვარად იქცევა. მაგალითად, არავის მოუვა აზრად, რომ სიტუაციის დასაბალანსებლად შეაკანინათ პრობლემებზე საუბრისას “კუ-კლუქს-კლანს” სთხოვოს აზრის გამოთქმა, ან ანტისემიტიზმთან დაკავშირებით – ნეონაციისტურ დაჯგუფებას. ჩვენთან ჰომოსექსუალობაზე საუბრისას მაშინვე ახსენდებათ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ და კომენტარს სთხოვენ ასეთი რადიკალური მოსაზრების ჯგუფს.

რაც შეეხება დაგეგმილ აქციას, „ყველა განსხვავებული, ყველა თანასწორი“, რომელსაც ასეთი ვნებათაღელვა მოჰყვა, პოლიტიკოსთა და არა მარტო პოლიტიკოსთა აღშფოთება გამოიწვია სწორედ ჰომოფობიის ქსენოფობიის სხვა ფორმებთან ერთ პლანში განხილვამ:

დათო ზურაბიშვილი, საპარლამენტო ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე: „თუ ასეთი ადღუმი გაიმართება, ალბათ მის მონაწილეებს სცემენ, პოლიცია, ალბათ, გააშველებს, მაგრამ ერთი-ორს თავადაც დაამატებს. რამდენადაც მე ვიცი, იგეგმება სექსუალური, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების ერთიანი აქცია, რაც არასწორად მიმაჩნია. მე ამ უმცირესობებს ერთ სიბრტყეში არ განვიხილავ. შეიძლება ძალიან კონსერვატორად ჩამთვალოთ, მაგრამ ჩემთვის ტერმინი “სექსუალური უმცირესობა” ძალიან მიუღებელია“.

მამუკა გიორგაძე, „სახალხო პარტიის“ ლიდერი: „გეილუმის“ ორგანიზატორმა ორგანიზაციამ სიბინძურის მეტნაკლებად დასაფარად თვალის ახვევის საკმაოდ უსუსურ ხერხს მიმართა და „ინტერკულტურული“, „ინტერრელიგიურობის“ ტერმინის ქვეშ, ძალაუვნებურად, თანამონაწილე გახადეს რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები საქართველოში სოლომური ცოდვის სტიმულირება-პროპაგანდისა“.

როგორც თვისობრივმა და დისკურსიულმა ანალიზმა აჩვენა, შეიცვალა ნეგატიურ შეფასებათა კონტექსტიც. თუკი 1999-2003 წლებში ჰომოსექსუალობის “პრობლემად” ქცევას მეტ-ნაკლებად რაციონალური არგუმენტებით ცდილობდნენ (მაგ. არსებული ჰომოფობიური მოსაზრებების გასამყარებლად მედია მიმართავდა მისთვის სასურველ ექსპერტებსა და სპეციალისტებს), დღეს “განსხვავებული” სექსუალობის პრობლემატიზაციისათვის საკმარისად მიიჩნევა “შეუთავსებლობა/ წინააღმდეგობა ქართულ და მართლმადიდებლურ ტრადიციებთან”.

თუ მორალური პანიკის ხელოვნურად შექმნაზე ვსაუბრობთ, ავტომატურად ჩნდება კითხვა თუ ვის აძლევს ხელს ამ საკითხის გარშემო არაჯანსაღი აჟიოტაჟის შექმნა და სიტუაციის აპოკალიპტურად წარმოჩენა?

ნეგატიური შეფასებების თვალსაზრისით კვლევისას გამოიკვეთა ადრესანტების სამი ძირითადი ჯგუფი:

პირველი ანტრეპენიორი, რომელიც ჰომოფობიური ტექსტების გავრცელება/ტირაჟირებას ახდენს, ყვითელი პრესაა და ამ მხრივ, მისი დაინტერესება ამ თემითა და “საშინელი მტრის ხატის” შექმნით ადვილი ასახსნელია, რადგან მათი ტირაჟი უშუალოდ უკავშირდება მათ არსებობას.



მეორე ჯგუფს პოლიტიკოსები შეადგენენ, რასაც თავისი მიზეზები აქვს: როგორც ავნიშნეთ, სოციალური ფობიები, როგორც წესი, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური კრიზისის პერიოდში ძლიერდება ხოლმე, როცა აუცილებელი ხდება “ხილული მტრის” ხატის შექმნა (დღეს ამგვარი “ხილული მტრის ხატს” ქვეყანაში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გარდა ჰომოსექსუალები და ჩინელებიც მიემატენ). ამგვარი ფობიების არსებობა კარგი ნიადაგია საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებისათვის და მას ხშირად იყენებენ როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღს პოლიტიკოსები;

მესამე ჯგუფს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მასთან არსებული ჯგუფების წევრები წარმოადგენენ. მათთვის მნიშვნელოვანია სიმბოლური დომინირების საკითხი. როგორც წესი, სოციალური ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მორალური პანიკის შექმნით, ეკონომიკური და პოლიტიკური დაინტერესების გარდა, მიისწრაფვიან იქითკენ, რომ ფლობდნენ სიმბოლურ ძალაუფლებასაც, რაც გამოიხატება სოციალური რეალობის საკუთარ ხედვაში, სიტუაციის საკუთარ შეფასებაში, რათა ყველას თავს მოახვიონ საკუთარი აზრი და გაზარდონ საკუთარი ჯგუფის გავლენის სფერო. ამ ჯგუფის პრეტენზია ძირითადად “საჯარო სივრცის ცოდვისაგან განწმენდას” უკავშირდება.

აქ პირველ რიგში საპატრიარქოს ვგულისხმობ. არის ასეთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც საპატრიარქოსთან არსებობს, მას ეწოდება “ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია”. *„მე მოვედი გეიალღუმის გამართვის საწინააღმდეგო აქციაზე, რადგან საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მართლმადიდებელი ქრისტიანია“*, ეს სიტყვები ამ ორგანიზაციის პრეზიდენტს ეკუთვნის. *„შევნიშნავთ, რომ ბიბლიურად დაგმობილი აღნიშნული გაუკუღმართება მხოლოდ სულისათვის კი არა, ფიზიკური არსებობისთვისაც სახიფათოა. ამიტომაც ჰომოსექსუალიზმთან ბრძოლას მხოლოდ რელიგიური ასპექტი არ გააჩნია. საყურადღებოა ისიც, რომ ამჟერად სოლომის ცოდვის გამამართლებელი ცდილობენ, თავიანთ გამოსვლას პოლიტიკური ხასიათი შესძინონ: ისინი ეთნო, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებს აერთიანებენ და ზოგადად, უმცირესობის სახელით გამოდიან. არა გვკონია, ამ ტიპის „გაერთიანებას“ მისაღწივლად ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები... ეს აქცია საქართველოს სტრატეგიულ ინტერესებზე შეიძლება ცუდად აისახოს, რამდენადაც არც აფხაზეთს და არც სამხრეთ ოსეთს საქართველოში გაერთიანება არ მოუხდება, თუ იქ გეი-აღღუმები გაიმართება“* – სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის ასოციაცია.

წინა წლებთან შედარებით უფრო მეტად დაინტერესედა ამ თემით ელექტრონული მედია. ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც სხვადასხვა უმცირესობის რეპრეზენტირებას სწავლობდნენ, ტელევიზიის მეშვეობით ოთხი ძირითადი ქრონოლოგიური სტადია გამოყვეს: მიჩუმათება, როდესაც უმცირესობები და მათთან დაკავშირებული თემები საერთოდ არ ხვდება საჯარო სივრცეში ტელეეთერის მეშვეობით; დაცინვა, როდესაც დომინირებული ჯგუფი საკუთარი იმიჯის უკეთ წარმოჩენას უმცირესობის ჯგუფის წარმომადგენელთა სტერეოტიპიზაციისა და დამცირების ხარჯზე ახდენს; რეგულირება (უმცირესობათა წარმომადგენელთა წარმოჩენა ხდება მხოლოდ პოზიტიურად. იქმნება წარმატებული ადამიანის დადებითი იმიჯი) და პატივისცემა, როდესაც აღარ ხდება აპელირება განსხვავებულობაზე, ჩნდება პატივისცემა ამ ადამიანების მიმართ და მათ წარმოაჩენენ ისევე, როგორც დომინირებული ჯგუფის წევრებს. თუ ამ კრიტერიუმებით შევაფასებთ ქართულ ტელევიზორცეში ჰომოსექსუალთა რეპრეზენტირების პროცესს, ადვილი დასანახია, რომ ამ თემებზე ტაბუს მოხსნის შემდეგ, ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოში ტელეკომპანიები ვერ გასცდნენ მეორე ეტაპს.

**ნინო დანელია** – დიდი მადლობა. ახლა ბ-ნ ნოდარ სარჯველაძეს მოვუხმინოთ. ბ-ნო ნოდარ, რა ტიპის ირაციონალურ შიშზეა საუბარი, ჰომოფობიის შემთხვევაში და არის თუ არა ეს ისეთივე პრობლემა უმრავლესობისთვის, როგორც უმცირესობისთვის.

**ნოდარ სარჯველაძე** – როდესაც ჰომოფობიაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება ადამიანები, რომლებსაც განსხვავებული სწრაფვანი აქვთ სექსუალურ სფეროში და იგულისხმება მათდამი და მათი ქმედებებისადმი დამოკიდებულება, რომელსაც ვუწოდებთ ფობიას, შიშს, და ითვლება, რომ ის ირაციონალურია. ალბათ, უნდა ვეძიოთ ამ ირაციონალური შიშის ძირები. მართლაც არსებობს თუ არა ეს შიში და აქვს თუ არა მას საფუძველი. საფუძველი ყველა შიშს აქვს. შიში არის ბიოლოგიური რეაქცია, რომელიც ეფუძნება რაღაც საფრთხეს და ის ამ თვალსაზრისით, სრულიად მიზანშეწონილი რეაქციაა. სხვა ამბავია, როდესაც შიში გადადის ფობიაში, ანუ ფიქსირდება როგორც ქრონიკული მდგომარეობა, და ადამიანი გადამეტებულად უფრთხის რაიმეს, ეს სხვა საკითხია, მაგრამ თვითონ მის საფუძველში არსებული რეალობის თვალსაზრისით, შიშს თავისი მიზანშეწონილობა გააჩნია.

თუ შევეცდებით ლიტერატურის მოუშველიებლად შევეცადოთ იმის გააზრებას, თუ რას შეიძლება ეს შიში ეფუძნებოდეს, პირველი არის ის, რომ შიშის იწვევს არაბუნებრიობა. ეს არის შიში იმის მიმართ, რაც ბუნების კანონების წინააღმდეგია. ადამიანს, რომელიც თავისი სწრაფვებით უმრავლესობას მიეკუთვნება, მიაჩნია, რომ სექსუალური სწრაფვა ბუნებრივია, როდესაც ის არის ქალსა და მამაკაცს შორის და რომლის შედეგადაც იბადება ახალი არსება. სექსუალობა განიხილება მის იმ ნაწილთან კავშირში, რომელიც მომავალი თაობის წარმოქმნას უკავშირდება. ადამიანში, მართალია, ეროტიზმი გამრავლების ინსტინქტისგან გამოცალკევდა იმ თვალსაზრისით, რომ დამოუკიდებელი სწრაფვის ფუნქცია შეიძინა, განსხვავებით ცხოველებისგან. ორსექსოვანი მენტალიტეტს ეფუძნება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თავდაპირველი არსება იყო ერთსქესოვანი, ანდროგინი, მერე გაიხლიჩა ორად, და მათ შორის არის ბუნებრივი სწრაფვა, რათა ამ სწრაფვის ნიადაგზე წარმოიქმნას მესამე არსება.

ქორწინება განხილულია, როგორც ოჯახის შექმნის წინაპირობა. ოჯახი ყოველთვის სამწვევრიანია: მშობლები და შვილი. ყველაფერ ამას, საღ აზრს ეწინააღმდეგება ჰომოსექსუალობა. ის უპირისპირდება ადამიანის სწრაფვას ბუნებრიობისაკენ. თავისი ძირები შეიძლება მას ანტიკურ ეპოქაშიც ჰქონდა, მაგრამ ეს პრობლემა ყველაზე მკაფიოდ წამოიჭრა პროტესტანტიზმის პერიოდში, როდესაც ჩათვალეს, რომ ადამიანი მხოლოდ ღმერთის წინაშე ანგარიშვალდებული. კალვინისტებმა ისიც კი თქვეს, რომ ბედისწერა გარდაუვალია, და შესაბამისად, ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, გარდაუვალია მათი სექსუალური ორიენტაცია, რადგან ის დაკავშირებულია ბედისწერასთან. თუ ბედისწერა დაკავშირებულია უზენაესის ნებასთან, მაშინ ადამიანი თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ის მხოლოდ განმხორციელებელია და მეტი არაფერი. ნახეს, რომ თუ თავისუფლები ეკლესიური განსაზღვრულობიდან, და თუ პირდაპირ ხარ ანგარიშვალდებული განგებასთან, მაშინ გაქვს უფლება, შენი ღირსება და უფლება საკუთარი ძალებით დაიცვა და წარდგე ღმერთის წინაშე როგორც საკუთარ თავში დაფუძნებული თვითკმარი არსება. და თუ თვითკმარი ვარ, ეს ჩემს ორიენტაციასაც ეხება. ეს ხაზი შეიცავს თავის დილემას, პროგრესი კარგია, ადამიანის უფლებები კარგია, სწრაფვა დისკრიმინაციის მოხსნისაკენ კარგია, მაგრამ ეს რატომღაც უპირისპირდება ბუნებრიობას. ისევე როგორც ტექნოლოგიური პროგრესი უპირისპირდება ეკოლოგიურ სისუფთავეს და არღვევს ბუნების წონასწორობას.

მეორე შიში იმით აიხსნება, რომ ადამიანს აქვს მისწრაფება, რომ დაეფუძნოს თავის ძირს. ეს ძირი ხშირად არის არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ იგულისხმება ტრადიციებიც, იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის ისტორიული მემკვიდრეობა და ისტორიულად არის განპირობებული და არა, ვთქვათ, გენეტიკურად. ისტორიული განპირობებულობის თვალსაზრისით, ადამიანს აქვს მიდრეკილება, შეინარჩუნოს და დაიცვას ტრადიციები. ყველაფერი ის, რას ამას უპირისპირდება, იწვევს შიშს. თუ ჩემი ისტორიული ტრადიცია დაირღვა, მიჩნდება შიში, რომ რაღაც მემუქრება. ეს შიში ისტორიული მდგრადობის დაკარგვას უკავშირდება.

მესამე ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ არც ერთი სოციალური ჯგუფი არ არის მშვიდობიანი. ყველას აქვს თავისი აგრესიული მუხტი. სიცოცხლე, როგორც კი წარმოიშობა,

ილტვის ექსპანსიისაკენ, ყოველთვის ცდილობს გაფართოებას და სივრცის ამოვსებას. ნებისმიერი სოციალური ჯგუფი ცდილობს თავი განავრცოს. ეს სწრაფვა ახასიათებს არა მარტო უმრავლესობას, არამედ უმცირესობასაც. მას ზემოქმედების თავისი რესურსები გააჩნია. უმცირესობის მისია არის ცვლილების გამოწვევა. სწორედ ამის მეოხებით ცდილობს უმცირესობა თავის დამკვიდრებას. ერთი მხრივ არის ცვლილების გამოწვევა, მეორე მხრივ თვითსეგრეგაცია, ანუ საკუთარ თავში ჩაკეტვა და დაპირისპირება იმით, რომ ის არ არის ისეთი, როგორც სხვაა. ის თავისი განსხვავებულობით იმკვიდრებს საკუთარ თავს. თუ ამას სექსუალურ პლანში გადავიტანთ, და გავითვალისწინებთ იმას, რომ სექსი ყოველთვის დაკავშირებულია აგრესიულობასთან, განსაკუთრებით მამაკაცური სექსი (ნევროლოგიურადაც, სექსუალობის ცენტრი თავის ტვინში ახლოს მდებარეობს აგრესიულობის ცენტრთან), გაუპატიურების, როგორც ფენომენის არსებობაც, მეტყველებს იმაზე, რომ აგრესიის მუხტი ჩვეულებრივ სექსუალობასაც თან ახლავს. ჰომოსექსუალობასაც ახასიათებს თავისი აგრესიულობა. იმიტომ, რომ შეუძლებელია, მოიპოვო პარტნიორი, თუ ვინმე არ აცდუნე. სექსუალური პარტნიორი უნდა გაიჩინო. შეთავაზების დროს, ისევე როგორც მამაკაცსა და ქალს შორის ფლირტის დროს ხდება შეთავაზება, ცდუნება, აყლიება, იგივეა აქაც. ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ ადამიანებს ეშინიათ ჰომოსექსუალთა მხრიდან აგრესიისა. მით უმეტეს, თუ ჰომოსექსუალური აქტი ციხეებში ან გარკვეულ სიტუაციებში, დასჯის საშუალებად ითვლება.

**ნინო დანელია** – იქნებ, უფრო გამოკვეთით განსხვავება ჰომოსექსუალურ და ჰეტეროსექსუალურ სექსს შორის იმ თვალსაზრისით, რომ შიშს მამაკაცის მიერ ქალის გაუპატიურებაც იწვევს.

**ნოდარ სარჯველაძე** – განსხვავება შეიძლება ის იყოს, რომ სექსუალური ურთიერთობებისადმი შიში უფრო ქალისთვის არის დამახასიათებელი, მისი ბუნებიდან მოდის. მამაკაცი, პირიქით, დაკავშირებულია არა შიშთან, არამედ შეტევასთან. შეტევა მამაკაცის სექსის ნაწილია. ქალი თავისი ბუნებით უფრო თავდაცვითია. მამაკაცს აქვს კასტრაციის შიში; ქალში არის პრეტენზია, მოიპოვოს ფალოსი. ეს არის განკაცების ტენდენცია. ქალი დაკავშირებულია შიშთან ირაციონალურად. მან რაციონალურად იცის, რომ სექსში არაფერი საშიში არ არის, მაგრამ ბავშვობიდან ესმის, რომ ეს მტკივნეულია და უყალიბდება ირაციონალური შიში. არსებობს ვირგოქორწინების, – ანუ ქალწულებრივი ქორწინების – უამრავი ფაქტი, როდესაც ქალი წლების განმავლობაში ინარჩუნებს ქალწულობას. მაგრამ ეს არის ქალებისთვის დამახასიათებელი შიში. მამაკაცი კი, თუ მას უტევეს მეორე მამაკაცი, იძულებულია აღმოჩნდეს ქალის სიტუაციაში, რისი სურვილიც მას არ აქვს. ამიტომ, მას უჩნდება ბუნებრივი შიში ჰომოსექსუალების მიმართ. ამ შიშს ეფუძნება სიძულვილი.

ამის გარდა, არის საზოგადოების რღვევის შიშიც. არსებობს შესანიშნავი წიგნი, „სამასთა კომიტეტი“, სადაც ნაჩვენებია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების მართვა ელიტარული მმართველების მიერ. ალბათ, გსმენიათ ალლო მოროს სკანდალური მკვლელობის შესახებ, 70-იანი წლების ბოლოს. ალლო მორო<sup>1</sup> გახლდათ იტალიის პრემიერ-მინისტრი. ის მოიტაცეს და აწამეს. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ამბავში ჩართულები იყვნენ “სამასთა კომიტეტის” წევრები, რომლებსაც სურდათ იტალიაში შეემსუბუქებინათ ვატიკანის ზეგავლენა. მათ დავალება ჰქონდათ მიცემული ალლო მოროსთვის, რომ აუცილებლად გაეტარებინა კანონი კონტრაცეპციისა და აბორტების ლეგალიზაციისა და ჰომოსექსუალობის მფარველობის შესახებ. ალლო მორო ამის წინააღმდეგი იყო და როგორც ამ წიგნშია მოთხრობილი, ეს გახდა მისი მოკვლის მიზეზი. ანუ, არა მარტო პოლიტიკოსები იყენებენ ამ თემას როგორც იარაღს, მოწინააღმდეგის დისკრიმინაციისთვის, არამედ პირიქითაც ხდება,

<sup>1</sup> 23.09.1916-09.05.1978; ქრისტინან-დემოკრატი პოლიტიკოსი 60-70-იანი წლების იტალიაში, რომელიც “წითელ ბრიგადების” მიერ გატაცებულ და მოკლულ იქნა.

როდესაც ჰომოსექსუალობა გამოიყენება როგორც პოლიტიკური მანიპულაციის საშუალება გარკვეული ძალების ხელში.

**ნინო დანელია** – საქართველოში თუ დასავლეთში?

**ნოდარ სარჯველაძე** – საერთოდ, მთელ მსოფლიოში. გავიხსენოთ კლინტონის პერიოდში ჰომოსექსუალების მანიფესტაცია, მეორე არჩევნების დროს. არც ბუშის ადმინისტრაციის უარყოფითი დამოკიდებულებაა შემთხვევითი. ეს ყველაფერი პოლიტიკური ორთაბრძოლების ნაწილია, ჰომოსექსუალობა გარკვეული პოლიტიკური ძალების მიერ იარაღად გამოიყენება. გამოდის, რომ მესამე მიზეზი, რასაც ეფუძნება ჰომოფობია, არის ის, რომ არ დაირღვეს სოციალური მდგრადი სისტემა. შეიძლება სხვა ფაქტორებიც არსებობდეს. ყოველივე აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ცხადია, ანტიჰუმანურია ადამიანის დისკრიმინირება მისი სექსუალური ორიენტაციის გამო, მაგრამ იმავდროულად, უნდა შევეცადოთ სხვანაირადაც შევხედოთ ამ საკითხს. უნდა შევეცადოთ გავიგოთ ის შიში, და მისი საფუძვლები, რაც აქვს ჰომოფობიის გრძნობის მატარებელ სუბიექტს, იქნება იგი პოლიტიკოსი თუ რიგითი მოქალაქე.

**ნინო დანელია** – გმადლობთ. ახლა ალბათ უკვე დარბაზსაც შეუძლია ჩაერთოს დისკუსიაში. ძალიან საინტერესო საკითხები იყო განხილული. იყო საუბარი იმაზე, თუ როგორ ხდება საკანონმდებლო სფეროში ამ საკითხებზე აქცენტირება, რას აკეთებს მედია, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოებრივ აზრს, რამდენად ლეგიტიმურია ეს ირაციონალური შიში.

ვფიქრობ, ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდება, გთხოვთ კონკრეტული კითხვები დასვათ და ნაკლები აგრესია გამოავლინოთ რომელიმე მომხსენებლის მიმართ.

**დავით არაბიძე, განათლების ეროვნული კავშირი** – ბ-ნ პაატას ნათქვამს მინდა დავუბრუნდე. ამ თემის დეკრიმინალიზაცია მოხდა 1992 წლის 11 აგვისტოს არალეგიტიმური, უკანონო, ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ. ამ საბჭოს ელუარდ შევარდნაძე თავმჯდომარეობდა. პრეზიდენტის წევრები იყვნენ თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი. ამაზეა საუბარი სახელმწიფო საბჭოს უწყებანის მე-2 ტომში. საინტერესოა ის, რომ ორი საკითხი განიხილებოდა: სახელმწიფო საბჭოს კონტიგენტის შეყვანა აფხაზეთში და აღნიშნული სტატიის გაუქმება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში.

**ნინო დანელია** – თქვენ ამბობთ, რომ ამ თემის დეკრიმინალიზაცია არ უნდა მომხდარიყო?

**დავით არაბიძე** – მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ორგანომ, რომელიც არ წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის მიერ დემოკრატიულად არჩეულ ორგანოს, მიიღო ეს გადაწყვეტილება.

**ანა თვაური, სტუდენტი** – ხომ არ შეიძლება ჰომოფობიის გამომწვევი მიზეზი იყოს არაინფორმირებულობა ან არასწორი ინფორმირებულობა ამ საკითხზე?

**თემურ ქორიძე, იურისტი** – საქართველოს რეალობაში, როდესაც ადამიანებს შესაძლოა, შეხება არ ჰქონდეთ ჰომოსექსუალურ გარემოსთან, მათი შიში რით შეიძლება იყოს გამოწვეული? ეს მხოლოდ საზოგადოებისგან გარიყვის შიშია თუ კიდევ სხვა მიზეზები აქვს მის წარმოშობას?



**ნოდარ სარჯველაძე** – რაც შეეხება არაინფორმირებულობას, ჰომოფობია თავისი არსით ირაციონალური შიშია. ამიტომ რამდენი ინფორმაცია არ უნდა მიიღოს ადამიანმა, ეს შიში კი არ მოეხსნება, პირიქით, გაუძლიერდება. ინფორმაციამ ამ შიშს შეიძლება ახალი არგუმენტებიც კი გაუჩინოს. ჩვენ გვგონია, რომ ინფორმაცია ყოველისშემძლეა, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის. ადამიანის ცხოვრებაში არანაკლები ძირი აქვს ემოციას. ხანდახან მოპოვებული ცოდნა ემსახურება იმ ემოციური მდგომარეობის განმტკიცებას, რაც მას უკვე აქვს.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას იმის შესახებ, თუ პირადად არ იცნობენ მათ, რატომ აქვთ წინასწარ მათ მიმართ შიში, აქაც იგივე ფაქტორი მოქმედებს. თუ მას ირაციონალური შიში აქვს, მიაჩნია, რომ ჰომოსექსუალთან კონტაქტში შესვლის შემთხვევაში, ვიდაცის მიერ დაიდრახება. ეს შიში ერთდროულად არის ინდივიდუალურიც და სოციალურიც.

**ნინო დანელია** – უმრავლესობის ტირანიაზე შეიძლება ლაპარაკი?

**ნოდარ სარჯველაძე** – თუ ავიღებთ უმრავლესობის და უმცირესობის ფუნქციას საზოგადოებაში, ვნახავთ, რომ უმრავლესობას აქვს ნორმალიზაციის, ნორმების შემუშავების და მათი დაცვის ფუნქცია. ამიტომ მას აქვს შიში, რომ მის მიერ ან მისი წინაპრების მიერ შემუშავებული ნორმები არ დაირღვეს. ამიტომ ის ყოველმხრივ შეეცდება მოარულ აზრს, საშუალო ადამიანის აზრს გაუწიოს ანგარიში. იმიტომ რომ საშუალო ადამიანი წარმომადგენელია იმ აზრისა, რაც ნორმატივი უნდა იყოს საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, მას ეშინია „თეთრ ყვავად“ არ გამოჩნდეს, არ გამოჩნდეს ისეთად, რომელიც „ჩვენნიანი“ არ არის.

**ნინო დანელია** – თუ შეიძლება საკითხის ასე დასმა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა იცავს რაღაც ნორმებს, მათი გადასინჯვა, ეჭვქვეშ დაყენება და ახლებურად გააზრება კი იყოს ქვეყნის შემდგომი განვითარების საწინდარი?

**პაატა საბელაშვილი** – ამ კითხვაზე ეკა გიპასუხებთ, მე 1992 წელს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებას გამოვეხმაურები. ეს დადგენილება ვერ შეცვლიდა სისხლის სამართლის კოდექსს. ეს იურიდიულად გამორიცხულია. მოხდა დე ფაქტო მორატორიუმის დაწესება ამ მუხლით ადამიანების გასამართლებაზე. 1992 წლის შემდეგ ჰომოსექსუალური კავშირის გამო არავინ დაუჭერიათ, მაგრამ დეკრიმინალიზაცია მოხდა 2000 წლის 1 ივნისს, როდესაც ევროსაბჭოს მოთხოვნით ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი კოდექსი. რაც შეეხება მორატორიუმის პერიოდს, კრიმინალიზაცია თავის როლს მაინც თამაშობდა, იმიტომ, რომ უშიშროების სამსახურები და ა.შ ამას შანტაჟისთვის იყენებდნენ.

**ნინო დანელია** – როდესაც საზოგადოების უმრავლესობისა და უმცირესობის ურთიერთობაზე ვსაუბრობთ, მახსენდება ხოლმე ვაჟა-ფშაველა და თემი და პიროვნების დამოკიდებულების საკითხი. არის თუ არა მსგავსი პრობლემა ჩვენს შემთხვევაში?

**ეკა აღდგომელაშვილი** – ალბათ არის მსგავსებაც და განსხვავებაც. ჰომოფობიის თემას დაუბრუნდები. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეძებდნენ ტერმინს, რომელსაც უნდა აღეწერა ეს დამოკიდებულება სექსუალური უმცირესობების მიმართ. იყო ტერმინები „სექსუალური წინასწარგანწყობა“, „ჰეტეროსექსიზმი“, მაგრამ საბოლოოდ „ჰომოფობიაზე“ შეჩერდნენ. ჰომოფობია უფრო ინდივიდუალურ დონეზე განიხილებოდა, თუმცა კი, დღეს რა დატვირთვითაც იხმარება ეს ტერმინი, ეს არ არის ფობია წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში ეს არის საკმაოდ გააზრებული დამოკიდებულება საზოგადოების ერთი ნაწილისა საზოგადოების მეორე ნაწილის მიმართ. ფობია შეიძლება

მჟღავნდებოდეს ინდივიდუალურ, და კოლექტიურ ღონეზეც და ამის უამრავი მაგალითი გვაქვს.

ბ-ნმა ნოდარმა ბრძანა, რომ ჰომოფობიის გამოვლენის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ადამიანის სურვილი, წარმოჩინდეს სხვაზე უფრო აღმატებულად. ეს შეიძლება იყოს რომელიმე სოციალური ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის დამტკიცება, მაგალითად, ბინძურად იხუმროს იმ მიზნით, რომ გარშემომყოფთა მოწონება დაიმსახუროს.

რაც შეეხება კოლექტიურ ფობიას, ამაზე დიდ გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნის ტრადიციები, იდეოლოგია და რელიგია. ერთ-ერთი ფაქტორი ნამდვილად არის სექსუალური განათლება, რომლის ღონეც ჩვენთან ძალიან დაბალია. ეს გახლავთ სექსუალური შფოთვის ხარისხი კულტურაში. როდესაც ქვეყანაში ზოგადად სექსუალობაა ტაბუირებული და რეპრესირებული, და ჩვენ სწორედ ასეთი კულტურა გვაქვს. ასეთ შემთხვევაში, ძალიან ძნელია, ადამიანმა, რომელიც ვერ იღებს საკუთარ სექსუალობას, მიიღოს ადამიანი, რომელსაც აქვს ჰომოსექსუალური ორიენტაცია.

**ნიკა წიკლაური, ფოტოგრაფი** – ბ-ნო ნოდარ, თქვენთან მაქვს შეკითხვა. ძალიან საინტერესო მოხსენება გქონდათ, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, იმაში, რომ სექსუალური აქტი თუ არა გამრავლების მიზნით, ცხოველებში არ გვხვდება. სოციალურ ძუძუმწოვრებში ყოველთვის არის ასეთი ძალადობის აქტი, როგორც თავის დამკვიდრების საშუალება.

თქვენ კავშირი გაავლეთ პროგრესსა და ჰომოსექსუალობას შორის. რითი არის განპირობებული ჰომოსექსუალობის განვითარება, ლეგიტიმაცია სახელმწიფოში, სოციუმში და რა კავშირი აქვს ამას პროგრესთან. თუ გავიხსენებთ ძველ ელინურ სამყაროს, ვნახავთ, რომ იქ ჰომოსექსუალური კავშირები სავსებით ლეგიტიმური იყო. მაშინდელი ელინური სამყარო მართლაც იყო პროგრესის მაღალ ღონეზე.

მეორე შეკითხვით ბ-ნ პაატას მინდა მივმართო. მაინტერესებს, რა პოზიტიური ნაბიჯები იღებდა თქვენი ორგანიზაციის მიერ სიტუაციის გამოსასწორებლად?

**ავთანდილ ზუმბაძე, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“** – ორიენტაციას ხომ ვერ დაგვისახელებთ?

**პაატა საბელაშვილი** – თუ მე შეკითხვებით, მე ჰომოსექსუალი ვარ.

**ავთანდილ ზუმბაძე** – თქვენ ისედაც ცნობილი იყავით.

**ნოდარ სარჯველაძე** – შევეცდები მოკლედ ვუპასუხო თქვენ შეკითხვას.

**ნინო დანელია** – ძალიან გთხოვთ, სიმშვიდე იყოს. ეს არ არის ადგილი, სადაც ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ დაბალი საღისეურო კულტურა. დიდი მადლობა.

**ნოდარ სარჯველაძე** – რატომ გაიჟღერა პროგრესის ცნებამ, პროგრესის იდეამ პროტესტანტიზმის შემდგომ ეპოქაში...? პროგრესი ხშირად მოიაზრება ისე, როდესაც ადამიანი იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე შეუძლია ბიოლოგიურად. არც მობილურ ტელეფონს, არც კომპიუტერს ბუნებაში ანალოგი არ აქვს, ის ადამიანის მიერ არის შექმნილი. ასე ვითარდება პროგრესი. შესაბამისად, ადამიანი სულ უფრო განსხვავებული ხდება ბუნებრივისაგან, ბუნებისაგან. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით სექსუალობას, მაშინ, ეროტიზმი, რომელიც დაკავშირებულია სექსუალობასთან, ნელ-ნელა წყდება თავის ბიოლოგიურ საფუძველს, როგორც არის გამრავლების ბიოლოგიური ინსტიქტი. ის გამოეყოფა, როგორც დამოუკიდებელი რამ, და ხდება კულტურის ან ცხოვრების ნაწილი და ა.შ. მთელი ჟანრებია ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეროტიზმისადმი მიძღვნილი. ამ კუთხით, სექსუალობის სხვადასხვა ფორმები არის პროგრესი იმ თვალსაზრისით, რომ

ბუნებრივისგან არის განცალკევებული. მაგრამ ეს ქმნის დიდ პრობლემას, ისევე როგორც ეკოლოგიაში. პროგრესი ეჯახება ბუნებას და ხდება დამანგრეველი. ასე რომ, შეიძლება ბევრი ჰომოსექსუალური ქორწინების დაკანონებას მოიაზრებდეს როგორც კაცობრიობის საფუძველმდებარე პრინციპების დამანგრეველად.

**ავთანდილ ზუმბაძე** – მართალია.

**ნოდარ სარჯველაძე** – ეს დილემა გადაუწყვეტადია, მე თუ მკითხავთ.

**ავთანდილ ზუმბაძე, “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი”** – თავიდანვე ცხადი იყო, რა რაკურსით წარიმართებოდა ეს შეხვედრა. ამაზე სათაური „საქართველოს მოდერნიზაცია“ მეტყველებს. ქალბატონმა ისაუბრა, გაგვაცნო რას ნიშნავს ჰომოფობია, ჰომოსექსუალიზმი.

კონკრეტული შეკითხვა მაქვს „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან“ დაკავშირებით. ასევე მინდა ვილაპარაკო ჰომოსექსუალიზმის არსზე და თუ შეიძლება, ამისთვის ორი-სამი წუთი დამითმეთ.

ჰომოსექსუალიზმს დამანგრეველი ზეგავლენა აქვს კაცობრიობაზე, რამეთუ ჰომოსექსუალობა ერთსქესიან ურთიერთობას გულისხმობს და აქ კვდება ყველანაირი გამრავლება, რისთვისაც კაცობრიობა არის მოწოდებული. ურთიერთობა სწორედ ამისთვის არის.

მომხსენებლების საუბრიდან გამოიკვეთა, რომ ეს ყველაფერი დასავლეთიდან მოდის. ბატონმა ახსენა, რომ პროტესტანტული მიმდინარეობიდან, თუმცა გაცილებით უფრო ღრმა ფესვები აქვს, თუნდაც ანტიკურ საბერძნეთში, ელინურ კულტურაში. ყველაფერი ეს ემსახურება ადამიანის ხრწნას, რამეთუ დასავლეთის პოლიტიკაა ადამიანის გახრწნა და გარყვნა. გარყვნილი ადამიანი ადვილად სამართავია.

აი, შეხედეთ ახლა: შემდეგ აქვს პრეტენზია ადამიანს, რომ საზღვრის დაცვის სამსახურში არ აყენებენ. საკუთარი კაცობა ვერ დაგიცვია და ქვეყნის დაცვა ვინ უნდა მოგანდოს? მაღლობა ღმერთს, რომ არ განდობენ ამას და რომ კიდევ არიან ასეთი ღირსეული ადამიანები შერჩენილები ამ ქვეყანაში.

რატომ ეჩხირება ყელში ყველა უზნეო და ერის მტერ ორგანიზაციას „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“? მათ შორის ფონდ „ინკლუზივს“, „21-ე საუკუნეს“, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს და საკმარისია მე მგონი.

**ნინო დანელია** – დიდი მაღლობა.

– თქვენ რა პოზიციაში ბრძანდებით?

**ნინო დანელია** – მე ვარ პოზიციაში, რომელიც მოღერაციას უწევს დღევანდელ დისკუსიას.

– პასუხი რომ გაგვცეთ, შეიძლება?

**ნინო დანელია** – არა, არ ვაპირებ პასუხის გაცემას. თუ შეიძლება, გვაცადეთ დისკუსიის გაგრძელება. თქვენ იცოდით რა არის დისკუსიის თემა, და შეგეძლოთ არ მობრძანებულიყავით.

**პაატა საბელაშვილი** – მოგახსენებთ თქვენს შეკითხვაზე პასუხს. ეს იყო სანდრო კაკაბაძე...

– მე კითხვა ქ-ნ ეკას დაეუსვი. თუ შეიძლება, შეურაცხყოფად არ მიიღოთ. მე თქვენთვის არ მომიმართავს.

**პაატა საბელაშვილი** – ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა. თუ გინდათ პასუხი მიიღოთ შეკითხვაზე, მიიღებთ, თუ არ გინდათ, არ მიიღებთ. თუ გაინტერესებთ, გეტყვით.

2006 წლის ნოემბერში გავიდა სიუჟეტი „კურიერ-პოსტსკრიპტუმში“, რომელიც ამ გადაცემის ჟურნალისტმა სანდრო კაკაბაძემ მოამზადა. ის იდეაში ამზადებდა სიუჟეტს ჩვენს მიერ გამოცემულ ჟურნალ „მე“-ზე, და კომენტარისთვის მივიდა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან“. რაც მთავარია, რესპოდენტი მეორე მხრიდან ძალიან დაიბნა, იმიტომ, რომ არ იცოდა ამ ჟურნალის არსებობის შესახებ. ამიტომ, ჟურნალისტმა, კომენტარი რომ ჩაეწერა, საუბარი წაიყვანა იქით, თუ რა აზრის იქნებოდა რესპოდენტი, თუკი საქართველოში გაიმართებოდა გეი-პრაიდი. მანაც ძალიან მოსალოდნელად უპასუხა, რომ წინააღმდეგი იქნებოდა. აქ ჩვენ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ პოზიციას კი არ ვაკრიტიკებდით, ჟურნალისტების დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ. ამ ჟურნალისტმა მიაკითხა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“, რომელმაც არც კი იცოდა ამ ჟურნალის შესახებ და საკუთარი ნებით გამოსძალა ნეგატიური პოზიცია სრულიად განყენებული მოვლენის, გეი-პრაიდის შესახებ. ჩვენ სხვა რამეს ვგულისხმობდით, მაგრამ თქვენ შეიძლება სხვანაირად მიიღეთ, რადგან ამ ორგანიზაციის წევრები ხართ.

**ავთანდილ ზუმბაძე** – „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ რატომ გეჩხირებათ ყელში უზნეო ადამიანებს?

**ნინო დანელია** – ძალიან გთხოვთ, პირად შეურაცხყოფაზე ნუ გადახვალთ, თორემ აუცილებად დაგატოვებინებთ დარბაზს.

**ეკა აღდგომელაშვილი** – მოდი, შეფასებებისგან თავი შევიკავოთ. თუ თქვენ პასუხი გაინტერესებთ და არა ის, რომ ილანძლოთ დარბაზში, გაცემთ პასუხს, თუ არადა, სხვების, ნურც ჩემს დროს, ნუ დამახარჯინებთ.

აქ რამდენჯერმე გამოითქვა მოსაზრება ჰომოსექსუალობის „დასავლურ“ წარმოშობაზე. ეს ახალი იდეა არ არის. შემიძლია გავიხსენო საბჭოთა კავშირში როგორ მზადდებოდა იდეოლოგიური ნიადაგი მედიაში ჰომოსექსუალობის კრიმინალიზაციისათვის. ეს გახლდათ მაქსიმ გორკის წერილი, რომელიც ჰომოსექსუალობას „დამპალი დასავლური ბურჟუაზიის ნაყოფად ნათლავდა. კომიკურია, მაგრამ 60-იან წლებში ამერიკაში მუსირებდა აზრი, რომ ჰომოსექსუალობა იყო საბჭოეთის პროპაგანდის მუშაობის შედეგი ამერიკაში.

ჩვენ ვსაუბრობთ დამოკიდებულებაზე, თორემ, რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს იმას, რომ როდესაც საზოგადოებაში დარღვეულია სოციალურ ჯგუფებს შორის თანასწორობა, სხვა საქმეა. დომინირებული ჯგუფები ყოველთვის ცდილობენ ახსნა მოუძებნონ ამგვარ წინასწარგანწყობებს და დამოკიდებულებებს. ძალიან ხშირად მოისმენთ მოსაზრებას ქალის შესაძლებლობებზე, რომ ქალის შესაძლებლობები ჩამორჩება მამაკაცის შესაძლებლობებს, ცდილობენ სექსიზმის გამართლებასაც და ამისთვისაც ძალიან ხშირად იშველიებენ „მეცნიერულ“ არგუმენტებს.

რამდენჯერმე ახსენეს საბერძნეთი და დასავლური კულტურა. სექსუალური ორიენტაცია, როგორც ტერმინი, გაჩნდა მე-19 საუკუნის ბოლოს. ამიტომ, ორიენტაციის თვალსაზრისით, ვერ ვილაპარაკებთ ძველ საბერძნეთზე. არსებობდა კულტურები, სადაც იყო ამგვარი ტიპის სექსუალური ქცევა წახალისებული. თქვენ ხომ ვერ იტყვით, რომ სპარტის ყველა მოქალაქე ჰომოსექსუალი იყო? ეს იყო უბრალოდ, სექსუალური ქცევა. დღესაც ძალიან ხშირად ურევენ ერთმანეთში სექსუალურ ქცევასა და სექსუალურ ორიენტაციას. ეს სხვადასხვა რამ გახლავთ.



ჯგუფი, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ, მე ვახსენე გააზრებულად და შემძლია გავიმეორო, როგორც ის ისეთივე რადიკალური დაჯგუფება, როგორც არის ნეოფაშისტური დაჯგუფება; თუნდაც თქვენი ბოლო სიტყვიდან გამომდინარე, ისეთივე, როგორც იყო “კუკლუქსკლანი” ამერიკაში, სწორედ რადიკალური მოქმედებების და ჯგუფის მიერ გამოხატული აგრესიის გამო. ჩემთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, ეს აგრესია ჩემსკენ არის მომართული თუ რომელიმე სოციალური ჯგუფისკენ.

**პატა საბელაშვილი** – შეკითხვა დაგვისვს, ჩვენ რას ვაკეთებთ. ჩვენ ვმუშაობთ რამდენიმე ღონეზე; უპირველეს ყოვლისა, ეს არის ჯგუფთან მუშაობა, იმიტომ რომ თვითონ ჯგუფი არის ძალიან სტიგმატიზებული, მარგინალიზებული და ძალიან დაბალი თვითშეფასების მქონე; გამომდინარე იქიდან, რა სტიგმაშიც აქცევს მას ჩვენი საზოგადოება. ჩვენ გვაქვს ფსიქოლოგის უფასო კონსულტაციები, ჯგუფის წევრებს ასევე ვთავაზობთ უფასო იურიდიულ დახმარებას. გარდა ამისა, ვცდილობთ ინფორმირებას. ბ-ნმა ნოდარმა აღნიშნა რომ ინფორმირება არ არის ერთადერთი გამოსავალი. არაერთ განათლებულ და ჭკვიან ადამიანს ვიცნობთ, რომელსაც რაც არ უნდა ბევრი ინფორმაცია მიაწოდო, მიძლეოა მას მაინც არ გაუჩნდება. ამას თავისი სიღრმისეული მიზეზები გააჩნია.

სამი წელი ხდება, რაც გამოვცემთ ჟურნალ „მეს“. გარდა ამისა, გვაქვს ვებ-საიტოც. ჟურნალი უფასოდ ვრცელდება. გვაქვს სხვადასხვა საინფორმაციო ღონისძიებები, ვავრცელებთ პრეს-რელიზებს მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით. ჩვენი საინფორმაციო პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილია ჩვენი აქ ყოფნა, რათა თქვენი ინფორმირება მოვახდინოთ. თქვენი გადასაწყვეტია, რას მიიღებთ, რას გაითვალისწინებთ და რას არა. გარდა ამისა, გვაქვს სარესურსო ცენტრი იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ამ საკითხების სამეცნიერო კვლევით. ასევე ვაწარმოებთ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების აღრიცხვას, ორგანიზებას და შესაბამის რეაგირებას. სამართალწარმოების ღონემდე ჯერ ვერც ერთი საქმე ვერ მივიდა იქიდან გამომდინარე, რომ მათ, ვისი უფლებაც დაირღვა, არ სურთ იდენტობის გამჟღავნება. მაგრამ ჩვენ ამ ინფორმაციას ვავროვებთ და ჩრდილოვანი ანგარიშების სახით ვაწვდით სხვადასხვა ორგანიზაციას და სხვადასხვა ტრიბუნას.

**ნიკა წიკლაური** – რა ტიპის ორგანიზაციაზეა ლაპარაკი?

**პატა საბელაშვილი** – არ არის დიდი ორგანიზაცია, სულ რამდენიმე ადამიანი ვმუშაობთ, მაგრამ გვყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც მხარში გვიდგანან ადამიანური რესურსებით, იურისტებით, ფსიქოლოგებით, ექიმებით და ა.შ.

**დავით გაბუნია** – ბ-ნ ნოდარის არგუმენტებიდან გამომდინარე, გამოვიტანე დასკვნა, რომ ჰომოფობიის არსებობის გამამართლებელი რამდენიმე საფუძველი არსებობს. ერთ-ერთ მაგალითად დასახელებული იყო ძალადობა, გამოვლენილი მამაკაცსა და მამაკაცს შორის. რატომღაც არაფერი არ ხორციელდება ამ ტრადიციული ინსტიტუტების მიერ თუნდაც, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ. თუ არ ვცდები, მხოლოდ პატრულის შემოღების შემდეგ გახდა შესაძლებელი ოჯახური ძალადობის შემთხვევაში დაერეკა ცოლს ან ქმარს. არც ბავშვებზე განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით გამოითქმება პროტესტი.

მე მგონია, რომ არაინფორმირებულობის ბრალია ის, რომ სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს ტრაგიზმის კუთხით, საშიშ პიროვნებებად აღიქვამს ქართული საზოგადოება.

მაინტერესებს, რატომ ითვლება თუნდაც ამ ორგანიზაციის მიერ გასართობი ღონისძიების, “ჰელოვინის” დარბევა გამართლებულად, და ორი ხელჩაკიდებული გეის სეირნობა თბილისში ძალადობის აქტად? (ხმაური დარბაზში)

**ნოდარ სარჯველაძე** – ჩემი დანიშნულება დღეს ის იყო, რომ ჰომოფობიის არსზე მესაუბრა. მე მარტო ძალადობაზე არ მილაპარაკია.

**ნინო დანელია** – თუ შეიძლება, მივცეთ ბ-ნ ნოდარს პასუხის გაცემის საშუალება. დარბაზს ვთხოვ, მშვიდად იყოს, იმიტომ რომ ყველას ეძლევა კითხვის დასმის საშუალება. ძალიან გთხოვთ, ნუ მოვიქცევით პროვოკაციულად და დაველოდოთ კითხვაზე პასუხს. გმადლობთ.

**ნოდარ სარჯველაძე** – გაინტერესებთ? მე შევეცადე მესაუბრა ჰომოფობიაზე, ანუ ამ ფობიის არსზე და ჩამოვთვალე ბუნებრიობის დაკარგვის შიში, საზოგადოების რღვევის შიში, გარდა ძალადობისა. ძალადობა ერთ-ერთი მათგანი იყო. რაც შეეხება ძალადობის ფორმების პროპორციებს და იმას, როგორი რეაგირება მოვახდინოთ, ეს საკითხის სხვა მხარეა. გეთანხმებით, რომ ოჯახური ძალადობაც პრობლემატურია და ბავშვებზე ძალადობაც. მაგრამ ჩემი მიზანი არ ყოფილა სპეციალურად ძალადობაზე საუბარი.

**დავით გაბუნია** – თქვენ ოჯახის ინსტიტუტის დარღვევაზეც ისაუბრეთ და თქვით, რომ ამან შესაძლოა დემოგრაფიულ პრობლემამდე მიგვიყვანოს. მე მგონი, უფრო მეტ პრობლემას ქმნის ოჯახური ძალადობა ოჯახებში, ვიდრე გეი-ქორწინების შედეგად ბავშვის აყვანა.

– რა თემების პროვოცირებას ახდენთ? შვილი – კატა ან ძალი, არა?

**ნოდარ სარჯველაძე** – აქ კონტრარგუმენტი რა შეიძლება იყოს?

**დავით გაბუნია** – შესაძლოა დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის კერაც იყოს ძალადობა.

**ნოდარ სარჯველაძე** – უშვილო ოჯახი – ოჯახი არ არის. უშვილო ოჯახი არის ქორწინება. ოჯახი ყოველთვის სამწევროვანია.

**ნინო დანელია** – მოგიწევთ დარბაზის დატოვება, თუ არ მოგვცემთ დებატების მშვიდად ჩატარების საშუალებას. თქვენ ახლა ძალადობთ მთელ საზოგადოებაზე, მათზე ვისაც უნდა დებატების მოსმენა.

– ვისზე ვძალადობთ, ბისექსუალებზე, ჰომოსექსუალებზე თუ ლესბოსელებზე?

**ნინო დანელია** – მაპატიეთ მე რომ გეუბნებით, თქვენ თავად უნდა ხვდებოდეთ, რომ მართლმადიდებლობა პირველ რიგში არის მოთმინება. აქ არიან ადამიანები, ვისაც უნდათ ამ თემაზე დებატების მოსმენა.

**პაატა საბელაშვილი** – ამ ორგანიზაციის აქტივისტები ხშირად ისახავენ მიზნად ჩაშალონ და შეწყვიტონ ის საზოგადოებრივი დისკურსი, რომელსაც ჩვენ ვიკავებთ. ჩვენ არ ვიმყოფებით თქვენი ორგანიზაციის წარმომადგენლობაში. ჩვენ ვიმყოფებით სხვა ორგანიზაციის წარმომადგენლობაში, რომელმაც დაგვითმო საჯარო სივრცე. თქვენი არჩევანია, ისურვებთ თუ არა ამ „უზნეობაში“ მონაწილეობას.

**ნინო დანელია** – შეგიძლიათ არ მიიღოთ მონაწილეობა და დატოვოთ დარბაზი.

**პაატა საბელაშვილი** – თქვენი პირადი არჩევანია, შეგიძლიათ იყოთ, ან თუ გინდათ, მიბრძანდით. ძალიან ვთხოვთ ყველას, დისკუსიაში არ შევიდნენ ამ ორგანიზაციის აქტივისტებთან, ვინაიდან ეს სწორედ იმისთვის არის გამიზნული, რომ ჩვენ რაც შეიძლება ნაკლები სალაპარაკო დრო მოგვეცეს.

**გიორგი ლასურაშვილი**, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ – მაინტერესებს, ამ ადამიანებთან ერთად რატომ არ მოიწვიეთ სამედიცინო მუშაკი, რომელიც აუხსნიდა ამ ადამიანებს, რა დადებითი მხარე აქვს, თუ აქვს ამ პრობლემას, და რა – უარყოფითი, როგორც სულიერად, ისე ხორციელად, როგორც ფსიქოლოგიურად, ისე ადამიანური ფიზიკური პრობლემის მხრივ.

ბ-ნმა ნოდარმა ძალიან კარგად ჩამოაყალიბა, კმაყოფილი ვარ, ის, რომ აქ არის წინააღმდეგობა ბუნებრიობასა და არაბუნებრიობას შორის და დაასკვნა, რომ ეს ყველაფერი ურტყამს კაცობრიობის ფესვებს, ანუ, იწვევს კაცობრიობის გადაგვარებას. აქედან გამომდინარე ჩნდება შეკითხვები. პირველი: როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს საქართველოში არ უნდა იყოს, რომ ამას გიშლიან, რომ ეკლესია საწოლში გიწვებათ..

**პაატა საბელაშვილი** – ეს მეტაფორა იყო და გაგება სჭირდება.

**გიორგი ლასურაშვილი** – ამისთვის სათანადოდ უნდა ჩამოაყალიბოთ. ეკლესია არ არის თქვენი ხელწამოსაკრავი და თუ კორექტულობისკენ სხვას მოუწოდებთ, პირველ რიგში თავად უნდა იყოთ კორექტულები. ეს გაითვალისწინეთ, მეორედ ასეთი შეცდომა არ დაუშვათ.

თქვენ ხელოვნურად ქმნით ამ პრობლემას, რომ დამცირებულად იგრძნოთ თავი. სინამდვილეში თქვენი „მამები“ დასავლეთიდან ხელს გიწყობენ რომ წამოწიოთ წინ ეს მავნე და ბოდიშს ვიხდი, უზნეო ორიენტაცია და ტრადიციული აზროვნების ადამიანები, რომლებიც შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, და ამ ტრადიციებით მოდის ჩვენი ქვეყანა, საუკუნეა, ამ ტრადიციებს ჩვენთვის პრობლემა არასოდეს არ შეუქმნია. ბ-ნმა ნოდარმაც ბრძანა, ორი სხვადასხვა პიროვნების ურთიერთმიზიდვით ხდება გამრავლება. და საუკუნეების დასაწყისში ჰომოსექსუალები რომ ყოფილიყვნენ, რითი გამრავლდებოდნენ?

**ნინო დანელია** – დიდი მადლობა.

**გიორგი ლასურაშვილი** – ქ-ნს მინდა დაუუსვა შეკითხვა. მე გამაღიზიანეს და გამანერვიულეს აქ შეკრებილმა პირებმა. თქვენ, ქალბატონო, როდესაც სხვის ოხვრაზე ლაპარაკობთ, და სხვისგან არ მოგწონთ შენიშვნები, რატომ მოიხსენიებთ ასე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“, რომ ვისაც არ მოსწონს თქვენი ორიენტაცია, გარბიან „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირში“? ციტირებას ვახდენ თქვენი სიტყვების. რა შუაშია გაქცევა? ადამიანი, რომელსაც აწუხებს თავისი ტრადიციები, აწუხებს იმ ადამიანის სვე-ბედი, რომელიც აცდა გზას, დალუპვისკენ მიდის და სხვასაც უბიძგებს დალუპვისკენ, ეს არის უზნეობის და გადაგვარების გზა, როგორც ბ-ნმა ნოდარმაც თქვა. თქვენი შეფასებით კი, თუ ვინმემ არ დაგიცვათ, ის არის რადიკალი, ფანატიკოსი და ა.შ. დიდი მადლობა.

**პაატა საბელაშვილი** – ამ პრობლემის ხელოვნურობას ხაზი ესმევა დარბაზში, რამდენად ხელოვნურად არის იგი წარმოდგენილი ჩვენს საზოგადოებაში. რაც შეეხება იმას, რომ აქამდე ამას საქართველოში პრობლემა არასოდეს არ შეუქმნია, და ეს დასავლეთიდან შემოვიდა, არის ტყუილი. თვითონ საეკლესიო ტექსტებშიც დასტურდება..

– პრობლემის წამოწევა.

**პაატა საბელაშვილი** – იქნებ მომისმინოთ.

**გიორგი ლასურაშვილი** – საქართველოში და ყველგან, ეს პრობლემა იყო, გეთანხმებით, მაგრამ..

**პაატა საბელაშვილი** – ამაზე გასაუხობთ სწორედ. 1103 წლის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძირითადი თემა, სხვათა შორის, იყო ჰომოსექსუალობის პრობლემაც. ეს დღეს არ დამდგარა ქართული ეკლესიის დღის წესრიგში.

**ვასილ კობახიძე, „კავკასიური სახლი“** – სეკულარულ საზოგადოებაში ყველას აქვს უფლება, თავისი პროტესტი და შეხედულება დააფიქსიროს, მათ შორის, ეკლესიას, მართლმადიდებელ ეკლესიასაც. ახლახანს ობამა გამოვიდა ინდიანას უნივერსიტეტში და ამას საპროტესტო მანიფესტაციები მოჰყვა. ამერიკა, – ალბათ, ყველაზე რელიგიური ქვეყანა, – ახერხებს დაბალანსებას. ერთი მხრივ, კონსერვატორული პოზიცია აქვს პროტესტანტულ ეკლესიებს, ბაპტისტებს, ევანგელურ ეკლესიებს, მაგრამ იქ არ არის დისკრიმინაცია. ყოველ შემთხვევაში, ამ ფილმში, „ჰარვი მილქში“<sup>2</sup> ეს არ ჩანს, გარდა რელიგიური უმრავლესობის დამოკიდებულებისა.

თქვენ რომ ახსენეთ მანიფესტაცია, რომელიც რამდენიმე წლის წინ უნდა გამართულიყო და აღარ გაიმართა, და რომელშიც ყველა უმცირესობას უნდა მიეღო მონაწილეობა, გამოდის, რომ დემოკრატიზაცია დამოკიდებულია თვითონ საზოგადოების გაჟღენთილობასთან რელიგიურ-ნაციონალური იდეოლოგიით. ამ მხრივ, გამოდის, რომ რუსეთი უფრო დემოკრატიული ქვეყანაა. 2006 წლიდან იქ ეს მსვლელობები იმართება, მასში ცნობილი ადამიანები, მომღერლებიც მონაწილეობენ; მართალია ცემენ, მაგრამ ვინ ცემს მათ? რელიგიურ-ექსტრემისტული ჯგუფები, ფაშისტები და ბოლო პერიოდში დაიწყეს კომუნისტებმაც, პოლიციამაც, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმართება. აქ ეს მცდელობა განცხადდა და შემდეგ უკან დაიხიეს. მაინტერესებს, ეს რატომ მოხდა, რა შიში გაჩნდა. მე ვფიქრობ, რომ ეს უმცირესობების, გინდა რელიგიურის და ეთნიკურის შეკრება კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ, ეს უნდა ყოფილიყო მანიფესტაცია ადამიანის უფლებებისათვის. შეიძლება მართო ამ თემაზე, ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ, და უნდა მოეწვიათ ყველა ადამიანი, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, ორიენტაციის და კანის ფერის მიუხედავად. თუ იქნება ასეთი მანიფესტაცია, მე მივიღებ მასში მონაწილეობას.

– ეს ყველაფერი წამოვიდა პროტესტანტიზმიდან, ანუ ღმერთისგან განდგომიდან. კაცი, რომელიც ღმერთს უღალატებს, ის ყველაფერზე წამსვლელია.

**ნინო დანელია** – მოდით, ჩვენ ნუ ვისაუბრებთ იმაზე, ვინ ვის უღალატა. ნურავის ნუ განვსჯით. ეს ძალიან დიდი მკრეხელობაა.

ბატონებო, ძალიან გთხოვთ...

– აი, თქვენი ორგანიზებული შეხვედრა და თქვენი მოწვეული სტუმრები.

– ჩვენ, როგორც რიგითი დამსწრეები, მოგიწოდებთ ამ შეხვედრის ორგანიზატორებს, რომ ეს უზნეო ადამიანები გააძევეთ შეხვედრიდან, ბისექსუალები, თავიანთი ვაი-ადვოკატებით.

2 საუბარია ამერიკელი რეჟისორის გას ვან სენტის ფილმის – “მილქის” (“Milk”) – შესახებ, რომელიც გვიჩვენებს ამერიკელი პოლიტოკოსის და გვი აქტივისტის ჰარვი მილქის (22.05.1930-27.11.1978) ცხოვრების ამბავს.



**ნინო დანელია** – ძალიან გთხოვთ, დატოვეთ დარბაზი. თუ არ მოგწონთ, მონაწილეობას ნუ მიიღებთ, ნუ გახდებით უზნეობის ნაწილი და დატოვეთ დარბაზი.

**ნინო ლეჟავა** – დაბრძანდით თქვენ ადგილებზე, ან დატოვეთ დარბაზი. ეს არის ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, სადაც თქვენ მოსულები ხართ დისკუსიითვის.

ზოგი ადამიანი უმცირესობაშია, ზოგი – უმრავლესობაში. რა ტიპის უმცირესობაა, ეს ჩემთვის არ არის მნიშვნელოვანი. მე ამ ფონდს წარმოვადგენ აქ იმისთვის, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს აზრის გამოთქმის თავისუფლება.

– თქვენი თავი წარმოგვიდგინეთ.

**ნინო ლეჟავა** – მე განსაკუთრებით ნინო ლეჟავა, პროგრამების კოორდინატორი. ყველას გთხოვთ, დაიცავით სიმშვიდე. ასე მოქცევა არ შეიძლება. თუ აქ მობრძანდით დისკუსიისთვის და სხვა მიზნები არ გამოძრავებთ, გთხოვთ, დაბრძანდეთ და როგორც თქვენმა კოლეგებმა და მეგობრებმაც უკვე რამდენჯერმე მოგიწოდეს, დაიცავით სიმშვიდე. ასევე ვთხოვ ბ-ნ ვასილ კობახიძეს, დაიცავით სიმშვიდე. რამდენიმე ახალგაზრდამ, რომელსაც სხვა აზრი გააჩნდა, დატოვა დარბაზი – იმიტომ, რომ აგრესიული იყო. ყველას დავატოვებინებთ დარბაზს, ვინც ასე მოიქცევა.

თუ თქვენ ეს დისკუსია არ მოგწონთ და უზნეობად მიგაჩნიათ, ეს თქვენი თავისუფალი არჩევანია, შეგიძლიათ გაბრძანდეთ აქედან. თქვენ არავის არ უშუქლებინართ, არავის პირადად აქ არ მოუწვევინართ, და თუ აქ მობრძანდით, უნდა დაიცვათ გარკვეული წესები. შევთანხმდით. გმადლობთ.

**ნინო დანელია** – ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, განსხვავებული აზრის მოსმენა. ჩვენ ხშირად გადავდივართ ასეთ რადიკალურ, არა საჭირო პირად შეურაცხყოფაზე. და მთავარი საკითხი, რომელსაც სჭირდება არგუმენტირებული დისკუსია, გვისხლტება ხელიდან. მოგვეცით საშუალება, ამ თემაზე მშვიდად ვიმსჯელოთ. თქვენ ბევრჯერ მოგვეცით სიტყვა, მოქმედების საშუალებაც მოგვეცათ, ამიტომ ძალიან გთხოვთ, ახლა ნუ შეეცდებით დისკუსიის ჩაშლას. თუ უზნეობად მიგაჩნიათ და არ გინდათ, შეგიძლიათ დატოვოთ დარბაზი.

**დავით არაბიძე** – მე შემთხვევით არ ვახსენე 1992 წლის 11 აგვისტო. თუ ვსაუბრობთ დემოკრატიაზე, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვეყანაში არის ერი, რომელსაც გააჩნია თავის ფასეულობათა სისტემა, ანუ იდეოლოგია. ის, რასაც თქვენ გვთავაზობთ, იდეოლოგიაა. რასაკვირველია, დღეს შეიძლება მას არ გვთავაზობთ ფოლადის ხმლით. მაგრამ რა განსხვავებაა იმ ქმედებაში, რომელიც ჯალალედინმა ჩაიდინა, როდესაც ცდილობდა გარკვეული იდეოლოგია ხმლით მოეხვია ჩვენთვის, და თქვენს ქმედებაში.

დღეს თქვენი იდეოლოგია თავს მახვევს იმას, რომ თურმე ოჯახი არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც იქმნება მხოლოდ ერთობლივი ქონების სამართავად. ეს, რასაკვირველია, წარმოშობს ჩვენგან წინააღმდეგობის გაწვევის სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია საერო და პროფკავშირული ტიპის ორგანიზაციაა, მინდა იცოდეთ, რომ ჩვენთვის ლეგიტიმურად არსებული საშუალებებით იდეოლოგიური ბარიკადის იმ მხარეს დავდგებით, რომლის თანახმადაც თქვენი ქმედება აღიქმება როგორც მურვან ყრუს და ჯალალედინის ქმედება. მინდა, თქვენთვის ნათელი იყოს, რომ ეს არ არის მხოლოდ პოლიტიკური რადიკალების და ექსტრემისტების პოზიცია. ეს არის იმ ადამიანების პოზიცია, რომლებიც დგანან იმ ღირებულებათა სისტემაზე, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი პოზიცია გააჩნია.

თქვენ იკითხეთ, რატომ არ უნდა იმსახურონ შეიარაღებულ ძალებში ამ ორიენტაციის ადამიანებმა. მაგალიად, სატანკო ეკიპაჟში არის ტრადიციული ორიენტაციის ადამიანი და არის ორი არატრადიციული ორიენტაციის ადამიანი. ამ ადამიანებმა საბრძოლო ოპერაციის

შესრულების დროს მტერზე უნდა იფიქრონ თუ იმაზე, რომ შეიძლება სექსუალური ინტერესის საგანი გახდეს?

**პატა საბელაშვილი** – ბ-ნო დავით, ერთი შეკითხვა მაქვს თქვენთან. თქვენს ორგანიზაციაში თუ გყავთ ქალი თანამშრომლები? სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სექსუალური დევნა თუ „ДОМОГАНИЕ“ დაუშვებელია ნებისმიერი სქესის ადამიანებს შორის. რატომ ფიქრობთ, თუ ორი ადამიანი ერთად ზის ტანკში, ეს აუცილებლად ასე უნდა დამთავრდეს?

ასეთ პირობებში დისკუსიაში მონაწილეობას აზრი არა აქვს. ვერ გავაგრძელებ ასე საუბარს.

**ნოდარ სარჯველაძე** – ეს ისევე იმ ბუნებრივი შიშის გამოხატულებაა, რაც აქვთ ადამიანებს.

**პატა საბელაშვილი** – რატომ ამართლებთ ამას ბ-ნო ნოდარ?

**ნოდარ სარჯველაძე** – მე არაფერს არ ვამართლებ, უბრალოდ, ვამბობ, რომ შიშს არსებობის უფლება აქვს.

**პატა საბელაშვილი** – ბ-ნო ნოდარ, შეგიძლიათ მითხრათ, რატომ ვერ შეძლებთ თქვენი გვარის გამრავლების, მე თუ ჰომოსექსუალი ვიქნები? რატომ გადაწყვიტეთ, რომ ჰომოსექსუალ ადამიანს არ შეიძლება ჰყავდეს ბავშვი? საიდან მოგაქვთ ასეთი არგუმენტები? თქვენ გგონიათ, რომ თქვენს გარშემო დაფარულად არ ცხოვრობენ ჰომოსექსუალი ადამიანები, რომლებსაც უწევთ ქორწინებაში ყოფნა, სხვა მამაკაცებთან სქესობრივი კავშირის დამყარება და შვილების ყოლა, მიუხედავად ყველაფრისა? ამ ილუზიით ცხოვრობთ?

– მაინტერესებს, სულ ჰომოსექსუალები და ლესბოსელები რომ იყვნენ დედამიწაზე, ბავშვები საიდან გაჩნდებიან? მაინტერესებს, რა იქნება დედამიწაზე ამის შემდეგ?

**ეკა აღდგომელაშვილი** – ასეთ შემთხვევაში, ეს იქნებოდა ნორმა, ეს ხუმრობით. რაც შეეხება რაოდენობას, ხშირად არგუმენტად იყენებენ იმას, რომ როდესაც ჰომოსექსუალობაზე ნმამალა საუბრობენ, ეს ითვლება პროპაგანდად. ზუსტ რიცხვს, რომელ ქვეყანაში რამდენი ჰომოსექსუალია, ვერ დავისახელებთ ვერც ერთი მეცნიერი. სავარაუდოდ, კვლევებიდან გამომდინარე, ეს არის ქვეყნის მოსახლეობის 3-დან 7%-მდე.

ჰომოსექსუალობა არ არის შეძენილი. ის არ შეიძლება გადაგედოს.

**ნინო ლეჟავა** – გთხოვთ, შეწყვიტოთ ვიდუოგადალება. ეს არ არის სატელევიზიო ფორმატი. ჩვენ ამაზე შევთანხმდით თქვენთან დისკუსიის დაწყებამდე.

– რატომ უნდა დავხუროთ დისკუსია ოფიციალურად?

**ნინო ბექაშვილი**, „ცხელი შოკოლადი“ – თქვენი რა საქმეა, ჩემი სექსუალური ორიენტაცია? თუ მაინცდამაინც, ჰეტეროსექსუალი ვარ.

– თქვენ არა მარტო ჰეტეროსექსუალი, უზრდელი ჰეტეროსექსუალი ყოფილხართ.

(დარბაზში ხანგრძლივი აყალმაყალის შემდეგ “მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის” წევრებს დაატოვებინეს შენობა.)

**ნინო დანელია** – ჩვენ ამ ათემაზე საუბრისას გვინდოდა კონტრარგუმენტების მოსმენა და არა ამ ძალადობის მომსწრე ვყოფილიყავით. დიდ ბოდიშს გიხდით მომხდარისთვის, აქვე დიდი მადლობაც მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ გამოიჩინეთ სიმშვიდე და დაპირისპირება კიდევ უფრო რადიკალურ ფორმებში არ გადაიზარდა.

**პაატა საბელაშვილი** – ბ-ნ ნოდარის მოხსენებას მინდა შევხებოდი. ჩვენ არ მოგვეცა იმის საშუალება, რომ ჩვენი დისკუსია გადაგვეტანა ადამიანის უფლებების დაცვის ჭრილში.

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ მხოლოდ ქორწინებაზე ვსაუბრობდით და არა ოჯახზე. ჩვენი ორგანიზაცია არ მოითხოვს საქართველოში ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას ამ ეტაპზე. უბრალოდ, მე განვიმარტავთ, რას ემყარება ხოლმე ასეთი ქორწინების მოთხოვნა. რატომ არ გვესმის ეს მოთხოვნა? იმიტომ რომ ჩვენ ჯერ ჰეტერონორმატიულ კონტექსტშიც არ გვაქვს ქორწინება სრულებით გაცნობიერებული, თავისი უფლებრივი მექანიზმებით და შედეგებით.

საქართველოს კონტექსტში, როგორც წესი, ქორწინება არ აღიქმება უფლებებისა და მოვალეობის სამოქალაქო გაფორმებად. რატომ ითხოვენ დასავლელი ლეგბტ აქტივისტები ერთსქესიანი ქორწინების დაკანონებას? ისეთ შემთხვევაში, როცა ქვეყანაში არ არსებობს სხვა რეგისტრირებული პარტნიორობა, აღიარებული სახელმწიფოს მხრივ, მხოლოდ ქორწინება შეიძლება გახდეს რიგი უფლებების წარმოშობის საშუალება, რომლებიც სხვა შემთხვევაში ვერ წარმოიქმნება. მხოლოდ რეგისტრირებულ პარტნიორს აქვს უფლება ხანგრძლივ პაემანზე იმყოფებოდეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ასევე საავადმყოფოში, გარკვეული დაავადების სიმწვავის დროს, მემკვიდრეობის მიღების და ა.შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ქალ და მამაკაც პარტნიორებს აქვთ სახელმწიფოსგან მიღებული უფლება, დაარეგისტრირონ თავიანთი პარტნიორობა და ამით მოიპოვონ ის უფლებები, რაც დაურეგისტრირებლად არ ექნებოდათ, და როდესაც ერთი სქესის პარტნიორებსაც სურთ დაარეგისტრირონ თავიანთი უფლებები იგივე კანონით, და მათ ამის ალტერნატიული საშუალება არ ეძლევათ, ამას დისკრიმინაცია ჰქვია. ადამიანი არ შეიძლება იყოს ნაწილობრივ თანასწორი. თანასწორობა არის აბსოლუტური კატეგორია და ვერ იქნები უფრო მეტად ან ნაკლებად თანასწორი.

და დავამატებ, ჰომოსექსუალობა არ არის დაავადება, ეს გადაწყვეტილი ამბავია, მოგვწონს თუ არა, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ არ ვამბობთ ისეთ რამეს, რაც უკვე გადაწყვეტილი არ არის და რაზეც არ არის მსოფლიოს ცივილიზებული ნაწილი შეთანხმებული. ამის მიღმა ჩვენ არ გავდივართ. ჩვენი მუშაობის პრინციპი არის ადამიანის უფლებები. ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა ადამიანის უფლებათა კანონის უზენაესობა.

**შორენა გაბუნია, ხელოვნებათმცოდნე, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სტიპენდიანტი** – თქვენ ისაუბრეთ ჰომოფობიის გარე ფაქტორებზე. მე ერთ საკითხზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ბოლო პერიოდში შეხება მქონდა ამ თემასთან, თუ როგორ აღიქვამს თბილისის გეი საზოგადოება შიგნიდან ჰომოფობიას. არის ასეთი გამოთქმა, თუ გინდა გაიგო, ვინ არის ყველაზე დიდი ჰომოსექსუალი, დააკვირდი, ვინ აკეთებს ყველაზე ხმამაღალ ჰომოფობიურ განცხადებებს.

ჰომოსექსუალებისგან გამიგია, რომ მათ ჰომოფობია საერთოდ არ აწუხებთ. მათგან ისიც გამიგია, რომ ეთანხმებიან ასეთ განწყობას. იმიტომ, რომ აღიზიანებთ მანერული გეები, ადამიანები, რომლებიც თავიანთ ქამინ-აუტს ამ ფორმით აკეთებენ, ყველაფრით, ჩაცმითაც და ვერბალურადაც აფიქსირებენ თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას. და მათ ასეთ მანერულ ადამიანებთან უფრო მეტი კონფლიქტი აქვთ, ვიდრე ჰომოფობიურად განწყობილ ადამიანებთან. ჩემი აზრით, ეს ტრადიციული პატრიარქალური ფესვებიდან მოწყვეტის შიშია.

**ეკა აღდგომელაშვილი** – იმას, რაზეც თქვენ საუბრობთ, უწოდებენ ინტერნალიზებულ ჰომოფობიას. სხვათა შორის, საკუთარი ორიენტაციით ჰიპერტროფირებული სიამაყეც შეიძლება იყოს საზოგადოების ზეწოლის შედეგი.

რაც შეეხება მანერულობას, აქ გენდერულ ნორმებთან გვაქვს საქმე. ესეც არის კონკრეტული კულტურებისთვის დამახასიათებელი. მაგალითად, დასავლეთში, გეიპოპულაციაში უფრო ნაკლებად არის მანერულობა შესამჩნევი მამაკაცებში და ქალები უფრო მანერულები არიან. ჩვენთან სხვანაირად არის. ეს კონკრეტულ სუბკულტურაზე დამოკიდებული.

ის, რომ ჰომოსექსუალი მამაკაცი აუცილებლად მანერული უნდა იყოს, გავრცელებული სტერეოტიპია, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, მათი უმეტესობა არის ჩაკეტილი მამაკაცური, მკვეთრად მასკულინური საზოგადოება. ასე რომ, ეს გავრცელებული სტერეოტიპია.

**პაატა საბელაშვილი** – მანერული გეების ქამინ-აუთი მათი არჩევანი არ არის. ამიტომ ხდება ამ სტერეოტიპის გაძლიერება, რომ მაინცდამაინც მანერული უნდა იყოს გეი. სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მიხედვით, გეების მხოლოდ 10-დან 15%-მდეა მანერული. იგივე შეიძლება ითქვას ჰეტერობოპულაციაზეც, უბრალოდ, ძალიან ბევრი ჰეტეროსექსუალი ვიცი, რომელიც გეი ჰგონიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მასკულინობის მათი აღქმა არ შეესაბამება მის თვითგამოხატვას.

**ინა ინარიძე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი** – დიდი მადლობა იმისთვის, რომ გავრძელდა დისკუსია. შეკითხვა მაქვს ბ-ნ ნოდართან: თქვენ თქვით, რომ ბუნებრივია, რომ არ უნდა იჩაგრებოდნენ ადამიანები, მაგრამ ეს უნდა გავიგოთ. მაინტერესებს, იგივე განსაზღვრება ეხება თუ არა, მაგალითად, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს? გამოსავალი რა შეიძლება იყოს?

**ნოდარ სარჯველაძე** – ჩემი აზრით, ერთ ქვაბში ჩაყრა ყველანაირი უმცირესობის, ერთგვარი გატაცებაა დემოკრატიული ინსტიტუტების, რომელიც ეყრდნობა რაღაც საბაზო დაშვებას. ამ საბაზო დაშვების მიხედვით, თუ არის უმცირესობა, ის აუცილებლად იჩაგრება, მას ჩაგრავს უმრავლესობა. ეს ისეთივე წინასწარგანწყობაა, როგორც, მაგალითად, რასიზმი. განსაკუთრებით ხშირად ასეთი დამოკიდებულება აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. სინამდვილეში, ეს ყოველთვის ასე არ არის. პირიქით, ხანდახან უმცირესობა საკმაოდ აგრესიულია და უტევს უმრავლესობას. როგორც წესი, უმცირესობა ახდენს რევოლუციებს. უმცირესობა ყოველთვის არ არის დაჩაგრული. პირიქით, ხანდახან უმცირესობა არის მჩაგვრელი. თუმცა, დისკრიმინაციები, როგორც ეთნიკური, ისე სექსუალური, არსებობს. მაგრამ ესენი აბსოლუტურად განსხვავებული თემებია. მაგალითად, სეგრეგაცია არსებობს ეთნიკური უმცირესობის დროს, მაგრამ არ არსებობს სექსუალური უმცირესობის დროს. გინახავთ თქვენ მხოლოდ ჰომოსექსუალებით დასახლებული ტერიტორია?

**ეკა აღდგომელაშვილი** – არსებობს, გეტოები. გეტოები გადატანითი მნიშვნელობით.

**ნოდარ სარჯველაძე** – ყოველ შემთხვევაში, ეს ერთეული შემთხვევებია. მე იმის თქმა მინდა, რომ გაიგივება ეთნიკური უმცირესობის თემატიკისა და პრობლემებისა, სექსუალური უმცირესობის საკითხებთან მე არასწორად მიმაჩნია. მათ მხოლოდ ის აკავშირებთ, რომ უმცირესობანი არიან. დისკრიმინაციის წესები და მექანიზმებიც სხვადასხვაა და მიზეზებიც. იმაში გეთანხმებით, რომ როდესაც ადამიანის უფლებების დაცვითი ღონისძიებები ტარდება, იქ უნდა იყოს სიტუაციის გათანაბრება.



**პაატა საბელაშვილი** – ადამიანის უფლებების დაცვა ან დაუცველობა არის ერთი კონკრეტული ფაქტი და არა აქვს მნიშვნელობა, რომელ უმცირესობას მიეკუთვნება ადამიანი. ამ ნიადაგზე თუ ირღვევა მისი უფლება, ეს არის აღმოსაფხვრელი, ამაზეა ლაპარაკი.

**ნოდარ სარჯველაძე** – ძალიან მნიშვნელოვანია იდენტობის პრობლემა; ის, თუ კონკრეტული ადამიანი ვის მიაკუთვნებს საკუთარ თავს. თვითოეული ჩვენთაგანი მრავალი იდენტურობის მატარებელი ვართ. ეს არის პროფესიული, ნაციონალური, სუბკულტურული და სხვა იდენტობები. პრობლემა ის არის, როცა ადამიანს უკრძალავენ იდენტობის ქონას, როცა მისი იდენტობა არის არა აღიარების, არამედ რაღაც ისეთი, რაც არ უნდა იქნას აღიარებული. ეს აერთიანებს უმცირესობებს, თორემ სხვა მხრივ, განსხვავებული თემატიკაა.

**პაატა საბელაშვილი** – აბსოლუტურად გეთანხმებით. ჩემი სექსუალური იდენტობა არ უნდა დაიფანტოს მასის შიშებზე და ვილაცის პრობლემებზე.

**ნოდარ სარჯველაძე** – ბუნებრივია, უმრავლესობამ უნდა გაიგოს და სცნოს უმცირესობის იდენტობის უფლება, მაგრამ სექსუალურმა უმცირესობამაც უნდა გაიგოს იმ შიშის საფუძველი, რაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მის მიმართ. მე გამართლებაზე არ ვლაპარაკობ.

**ნინო დანელია** – დიდი მადლობა. კიდევ ერთხელ გიბოდიშებთ იმ ემოციური ვნებათაღელვისთვის. დიდი მადლობა მობრძანებისთვის.